



ახალი პენათლება

17-23.10.2019

№31 (865) გამომდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

ლალი ჯელაძე

4 | ინტერვიუ მიხომოსულიშვილთან

შაქას და მოსარგბის ლუბი



ლალი ჯელაძე

2 | „მასწავლებლის ეროვნული სკოლის“ მისია – ახალი ტიპის მასწავლებელი სისტემაში

ინტერვიუ მანანა ხაბინთან

ანა ფირცხალაიშვილი

3 | სპეცმასწავლებელი – განათლების სისტემის განსაკუთრებული პრობლემა

მხოლოდ ცალკეული ადამიანების იმედზე, ჩაგინდ გელისხმი-
ეხები და ენთუზიაზმით სავსენიყ იყვნენ, სისტემა ვეჩ
განვითარდება. ჩვენს სკოლებს სჭირდება თანამედროვე
ცოდნით აღჭურვილი პედაგოგები, რომლებიც სპეციალური
საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების გა-
ნათლებასა და ინტეგრაციაზე იზრუნებენ.

6 | ჩვენ ერთ გზას ვხედავთ

ბიჭი ზაქარიაშვილის
სახელობის ახალი
ახალგაზრდა
მეთოდიკური სასწავლო
საქმიანობის სასწავლო

ბიჭი: ამ დროისთვის გვინდა, დავამსხვიოთ
სტრუქტურა, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში ფი-
ზიკური განვითარების ადამიანების მიმართ არსე-
ბობს.

ბიჭი: ჩვენ ერთ გზას ვხედავთ და ამ ერთი გზის
ქვეშ მცხოვრებმა ადამიანებმა, ძირითადად, ნაკლებად
ჩვენ მიერვე დანერგული ზღვაა, რომელიც ჩვენს
შესაძლებლობებს ხაზს უსვამს.

ბიჭი: გვინდა, დამთავრებულიყვნენ დაინახოს, რომ
ამ ხალხსაც შეუძლია შექმნას ხალხს ლიბერტი, გა-
მოავლინოს ნიჭი, მოახდინოს საკუთარი თავის იე-
ალიზება. მთავარია, ეს დავინახოთ და ვალოცოთ,
იხე რომელიც სხვებს ვალოცებთ. ასეთი ტიპის თა-
ნადგომმა ყველაზე მნიშვნელოვანია.



პროფესიული განვითარება

„მასწავლებლის ეროვნული სკოლის“ მისია – ახალი ტიპის მასწავლებელი სისტემაში

გასულ კვირას, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სპეციალური პროგრამის „მასწავლებლის ეროვნული სკოლის“ ამოქმედება დააანონსა, რომელიც მასწავლებლების მსურველებსა და მომავალ პრაქტიკოს მასწავლებლებს საგნობრივ ჯგუფში ან მომიჯნავე საგნობრივ მთავარ დეპარტამენტში მათი მცირეკონტინგენტის სკოლებში ერთზე მეტი საგნის სწავლება შეძლო. „ამ პროგრამის ბავლით, საშუალებას ვაძლევთ ადამიანებს, რომ სრულიად ახლებურად გაიზარდონ მასწავლებლის პროფესია. ჩვენ უნდა მოვახადოთ ახალი ტიპის მასწავლებელი“, – განაცხადა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, გერიკა შუკაძემ, პროგრამის წარმომადგენელმა.

რა არის „მასწავლებლის ეროვნული სკოლის“ მთავარი მისია და რატომ დასჭირდა სისტემას „ახალი ტიპის მასწავლებლის“ მოზადება – ამის შესახებ დეტალურად საუბრობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე მანანა რატიანი



– რა არის პროგრამის მთავარი არსი?
 – გამოცდილება და სიტუაციის ანალიზი აჩვენა, რომ მცირეკონტინგენტის სკოლებში არასრული დატვირთვის მქონე საგნების მიმართ ნაკლები ინტერესია. აქედან გამომდინარე, გაჩნდა საჭიროება, პირს, რომელიც მცირეკონტინგენტის სკოლაში მასწავლებლად წავა, რამდენიმე საგნის სწავლების შესაძლებლობა მიეცეთ. განსაკუთრებით ეს მცირესაათიან საბუნებისმეტყველო საგნებს ეხება. თავისთავად, მცირეკონტინგენტის სკოლებში, სადაც არ არის განაყოფიერი (პარალელური კლასები) და მხოლოდ ერთი კლასი ჰყავთ, მასწავლებელს შეიძლება მხოლოდ ცხრა საათი ჰქონდეს ან ნაკლები, მაგალითად, სამოქალაქო განათლების საგნის შემთხვევაში. ამიტომ მიზნად დავისახეთ, პირს, რომელიც შევა მცირეკონტინგენტის სკოლაში მასწავლებლად, ჰქონდეს საშუალება, სრული განაკვეთით იმუშაოს და, ამასთანავე, მომზადდეს დისციპლინებში აილოს საათები – ამით მხოლოდ განაკვეთი კი არ შევისოს, არამედ შეძლოს დამატებით არჩეული საგნის ხარისხიანად სწავლება. ამ მიზნით, ჩვენ წინსწრებით გავატარებთ კურსს ამ საგანში/საგნებში, შევახსენებთ ძირითად არსს, მივანოდებთ მასალებს, რომ სკოლაში ბევრად უფრო ხარისხიანად დაინერგოს საგნების სწავლება. სკოლაში შესვლის შემდეგ კი, ისინი პროფესიული განვითარების პროგრამაში ჩაერთვებიან, რომელიც საშუალებას მისცემთ, მოკლე დროის განმავლობაში გახდნენ პროფესიონალები – შეძლონ ხარისხიანი სწავლება. ახალი პროგრამის ძირითადი მიზანიც სწორედ ეს არის, გავზარდოთ ხელმისაწვდომობა ხარისხიან განათლებასზე.

– პროგრამით მასწავლებელს რამდენიმე საგნის სწავლების უფლება ეძლევა. შეძლებენ თუ არა ისინი კომპეტენციის დასადასტურებელ გამოცდაზე, ერთდროულად, რამდენიმე საგნის ჩაბარებას, რისი უფლებაც აქამდე არ ჰქონდათ, ანუ მომავალში შესაძლებელი იქნება თუ განსხვავებულ საგანზე ერთდროულად დარეგისტრირება?

– როცა გამოცდებზე ვსაუბრობთ, კომპეტენციის დადასტურება აპლიკანტს, წლის განმავლობაში, ისევე ერთ საგანში შეეძლება. რაც შეეხება რამდენიმე საგნის სწავლების უფლებას, მათ ამის უფლება ადრეც ჰქონდათ, თუ მასწავლებელი, საგნის ჯგუფის ფარგლებში, სერტიფიცირებული იყო. როდესაც მასწავლებლებს ამ თემაზე ვსაუბრობდით, ამბობდნენ, რომ სხვა საგნის სწავლებისას ისინი საკუთარ კომპეტენციებში დარწმუნებულები არ იყვნენ და ამ მიმართულებით დახმარება სჭირდებოდათ. ამდენად, პირველი ამოცანა, რაც პროგრამამ მიზნად დაისახა, სწორედ მცირეკონტინგენტის სკოლებისთვის (რომლებსაც 100-მდე მოსწავლე ჰყავთ) ახალი კადრების მომზადებაა, რომლებიც კვალიფიციურად შეძლებენ ერთდროულად რამდენიმე საგნის სწავლებას, ყოველ შემთხვევაში, პირველ ჯერზე, მათ მიეცემათ ძირითად საბაზისო ინფორმაციას/ცოდნას იმ საგნების შესახებ, რომელსაც მეორე საგნად აირჩევენ. მეორე და ასევე ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამაში არის ის, რომ მოქმედმა მასწავლებლებმა, თუკი საათები გამოჩნდება, დაიმატონ ამ საგნის სწავლების უფლება. თუ მოქმედ მასწავლებელს პოტენციურად აქვს შესაძლებლობა, მომიჯნავე საგანი ასწავლოს, ის, რესურსცენტრის გავლით, დარეგისტრირდება პროგრამაზე და ჩვენ მას არჩეულ საგანში მოვამზადებთ. აქედან გამომდინარე, „მასწავლებლის ეროვნული სკოლის“ ბენეფიციარი, ერთი მხრივ, ახალი კადრია, რომელიც დაინტერესებულია ასწავლოს მცირეკონტინგენტის სკოლაში და მეორე მხრივ, ამავე სკოლის მასწავლებელი, რომელსაც, პროგრამის საშუალებით, უჩნდება შესაძლებლობა, გადაემზადოს მომიჯნავე საგანში და ასწავლოს. ეს მასწავლებელი არ უნდა იყოს პრაქტიკოსი, რომ

მელსაც იანვრიდან სისტემიდან გასვლა უნევს. ამიტომ სკოლებმა რესურსცენტრებს, პროგრამაში მოსამზადებლად, ისეთი მასწავლებელი უნდა შესთავაზონ, რომელიც მომდევნო სემესტრისთვის ახერხებს სტატუსის ცვლილებას და, ამავდროულად, აქვს სხვა, მომიჯნავე საგნის სწავლების უნარი. სწორედ ამიტომ, მასწავლებლის მსურველები რეგისტრირდებიან ცენტრის საიტზე, „მასწავლებლის ეროვნული სკოლის“ ბანერით ისინი შეძლებენ რეგისტრაციის გვერდზე გასვლას და დარეგისტრირებას შესაბამის პროგრამაზე, ხოლო დასარეგისტრირებელი მასწავლებლების შესახებ ინფორმაციას რესურსცენტრები მოგვანვლიან.

– საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლობის მსურველი კურსის გავლის საფუძველზე დასაქმდება თუ უნდა დაელოდოს ზაფხულის გამოცდას და დადასტუროს საგნობრივი კომპეტენცია?

– კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მასწავლებელს აქამდეც ჰქონდა უფლება, ესწავლებინა საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში. მაგალითად, ისტორიკოსს შეეძლო გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების სწავლება, გეოგრაფიის პედაგოგს – სამოქალაქო განათლების და ისტორიის საგნის და ა.შ. თუმცა, უფლების გარდა, ახლა მათ სხვა შესაძლებლობას ვთავაზობთ – საბაზისო ცოდნას, რომ საგანი ხარისხიანად ასწავლონ. სკოლას თამამად შეუძლია ეროვნული სკოლის კურს-დამთავრებული პოტენციური მასწავლებელი უკვე მეორე საგნის მასწავლებლადაც აიყვანოს და, ასევე, მოქმედ პედაგოგებს სრულ განაკვეთზე მუშაობის საშუალებაც მისცეს, რაც, თავისთავად, პედაგოგის ანაზღაურებასაც გავზარდის.

აღრევა რომ არ მოხდეს, ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ეს პროგრამა არ არის ყველა მასწავლებლისთვის, გათვლილია მხოლოდ მცირეკონტინგენტის სკოლის მასწავლებლებზე, რომელთაც, იანვრიდან, ვაკანსიების გამოჩენის შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნებათ, მომიჯნავე საგნების სწავლებით შეიცვინონ საათობრივი დატვირთვა.

– რომელ საგნებში შეუძლიათ მომზადება?

– რეგისტრაციაში მითითებული გვაქვს მომიჯნავე საგნების დაჯგუფება. მაგალითად, მათემატიკის მასწავლებელს შეუძლია ასწავლოს ფიზიკა და ისტ, ფიზიკოსს კი – მათემატიკა და ისტ, ქიმიკოს – ბიოლოგია, გეოგრაფის ისტორიისა და სამოქალაქო განათლებას ვასწავლით და ა.შ. ეს არის მომიჯნავე საგნები, რომელთა სწავლებას ერთ-ერთი კონკრეტული საგნის კომპეტენტური მასწავლებელი შეძლებს, რადგან ამ საგნებს ბევრი აქვთ საერთო.

– დაეხმარება თუ არა კურსის გავლა იმ პირებს, რომლებმაც საგნობრივი კომპეტენციის გამოცდა უნდა ჩააბარონ, ანუ ამზადებს თუ არა „მასწავლებლის ეროვნული სკოლა“ გამოცდებისთვის?

– ამ შემთხვევაში, ნაკლებად ვამზადებთ მასწავლებლებს კომპეტენციის დასადასტურებელი გამოცდებისთვის. კონკრეტულ პროგრამის მიზანი არ არის, მომავალში მასწავლებლებმა გამოცდები ჩააბარონ. თუმცა, რა თქმა უნდა, როდესაც საგნის კურსს გაივლიან, მეტი შანსი ექნებათ, წარმატებით დაადასტურონ საგნის კომპეტენცია. კომპეტენციის დასადასტურებელი საგნის გამოცდისთვის ტრენინგები ცენტრმა ყველა გამოცდაზე დარეგისტრირებულ მასწავლებელს შესთავაზა.

– რას სთავაზობს „მასწავლებლის ეროვნული სკოლა“ ახალ კადრებს – მასწავლებლობის მსურველებს?

– რა თქმა უნდა, ახალი კადრი ჩვენი სამიზნე აუდიტორიაა. დეკემბერში საუენსიო ჯილდოს გაცემის მეორე ეტაპი დაიწყება და, სავარაუდოდ, საუენსიო ასაკის პრაქტიკოსი მასწავლებლები ამ შეთავაზებით ისარგებლებენ. შესაბამისად, მათ ადგი-

ლებზე გამოცხადდება ვაკანსიები. ამიტომ, ბუნებრივია, სისტემას დასჭირდება ახალი კადრები, რომლებიც მოკლე პერიოდში, სწორედ ამ სკოლებში შეძლებენ გადაამზადებას და შემდეგ დასაქმებას. მცირეკონტინგენტის სკოლები მიზნობრივად იმიტომ ავარჩიეთ, რომ წინა ვაკანსიების გამოცხადებისას სერიოზული პრობლემა სწორედ ამ სკოლებში დაინახეთ. ქალაქებში, პირიქით, ძალიან მაღალკონკურენტუნარიანი გარემო იყო – მაგალითად, თბილისში 180 კანდიდატიც კი იყო ერთ ვაკანსიაზე. ასეთი კონკურსის პირობებში გარედან ჩარევა, რასაკვირველია, მიზანშეწონილი არ არის, სკოლები თავად შეძლებენ კადრების გადარჩევას. მაგრამ მცირეკონტინგენტის სკოლების მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებზე იყო შემთხვევები, როცა არამც თუ კონკურენტუნარიანი გარემო, კანდიდატიც კი არ გამოჩნდნენ. ამიტომ სკოლამ გამოთავისუფლებულ ადგილზე კადრის აყვანა ვერ შეძლო. სწორედ ამ სკოლებს გვინდა დავეხმაროთ, მოვამზადოთ ადამიანები, რომლებიც მოსწავლეებს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას მისცემენ.

თუმცა, ახალი კადრებისთვის შეთავაზებული კურსი, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სრულფასოვანი მასწავლებლები გახდნენ. მათ ამის შემდეგაც დასჭირდებათ პროფესიული განვითარება, შესაბამისად, საბაზისო კურსის გავლის შემდეგ, როცა იანვრიდან სკოლაში დასაქმდებიან, მათი პროფესიული განვითარება მაძიებლის პროგრამაში ჩართვით გაგრძელდება. მათი ვალდებულებაა, მაძიებლის პროგრამით განსაზღვრული კურსი წარმატებით დაძლიონ და ბოლოს დადასტურონ საგნის კომპეტენცია (თუკი არ აქვთ დადასტურებული). მხოლოდ ამის შემდეგ გახდებიან უფროსი მასწავლებლები და სისტემაში კუთვნილ ადგილს იპოვიან.

ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც, ვფიქრობ, მცირეკონტინგენტის სკოლის მომავალ მასწავლებლებს დაინტერესებთ, არის ის, რომ მათ ექნებათ დანამატი, რათა გავზარდოთ ადამიანების ინტერესი წავიდეთ რაიონების სკოლებში მასწავლებლებად. მაძიებლის მცირე ხელფასით ვერ დავინტერესებთ ადამიანებს, რომლებიც საკუთარ საცხოვრებელს უნდა მოშორდნენ.

– რა წინაპირობა აქვს პროგრამაში ჩართვას – ვის შეუძლია გახდეს „მასწავლებლის ეროვნული სკოლის“ მსმენელი?

– მოდელირებული და დათვლილია, სად შეიძლება გაჩნდეს პოტენციური ვაკანსია. რომელი მასწავლებელი მიდის სკოლიდან, ამის შესახებ ადმინისტრაციას უკვე აქვს ინფორმაცია, შესაბამისად, მიზნობრივად, კონკრეტული სკოლისთვის კონკრეტულ საგანში მოვამზადებთ კადრს. სკოლის მიერ გამოცხადებული საგნების ჩამონათვალი შემთხვევითი სულაც არ არის. ესაა მოდელირებული საგნების მასწავლებლების საჭიროება, რომელიც იანვრიდან გაჩნდება.

– რა უნდა გაითვალისწინოს აპლიკანტმა დარეგისტრირებისას?

– რეგისტრაციის დროს აპლიკანტი ირჩევს იმ რაიონს, სადაც სურს დასაქმება, ასევე უთითებს მეორე ადგილს, სადაც სურს მოსამზადებელი კურსის გავლა. თუმცა, შეიძლება დასაქმებისა და მომზადების ადგილი სრულიად განსხვავებული იყოს. მაგალითად, შეიძლება მასწავლებლად სვანეთში წასვლას გვგვამავდეს, მაგრამ თბილისში ვცხოვრობდეთ და გადაამზადებაც აქ მერჩივნოს, სხვას შეიძლება ურჩევია ზუგდიდში გადაამზადდეს, მაგრამ ფშაში წასვლას გვგვამავდეს საშუაოდ. შემდგომ განაწილება რეგისტრაციის დროს მითითებული ადგილის მიხედვით იქნება განსაზღვრული. ლიმიტირებული ადგილები, რაიონები, სკოლები და საგნები, რადგან პროგრამა მიზანმიმართულად კონკრეტული სკოლებისთვის ამზადებს კონკრეტული საგნის მასწავლებლობის მსურველებს – ინფორმაცია სკოლებისგან გამოვითხოვეთ და სწორედ ამას ეფუძნება ადგილისა და რაოდენობის სიზუსტეც.

– რამდენი ადამიანის მომზადებაზეა გათვლილი პროგრამა?

– პროგრამის ფარგლებში, გვეცდით 2000 ადამიანის გადაამზადებას. რამდენიმე დღეა, რაც რეგისტრაცია გამოცხადდა და უკვე ძალიან ბევრი აპლიკანტი დარეგისტრირდა – 1490-მდე. ამ სიებს, რა თქმა უნდა, გადავხედავთ, რომ მათ შორის არ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ვერ ჩაერთვებიან პროგრამაში. თუ აპლიკანტებს გავლილი აქვთ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტი, რომელშიც შეძლეს 40-დან 60-მდე ზღვრის გადალახვა, არ მოუწევთ პროგრამის პრეტესტის გავლა, დანარჩენებს, ვისაც ჩაბარებული არ აქვთ საგნობრივი გამოცდა, მინიმალური 40-პროცენტის ბარიერის გადალახვით, აუცილებლად მოუწევთ პროგრამაში ჩასართავად ტესტის ჩაბარება, რადგან პროგრამაზე შემოსვლისთვის ერთ საგანში უნდა დაადასტურონ კომპეტენცია იმისთვის, რომ სხვა საგნებში მომზადების საშუალება მიეცეთ. ეს იქნება „მასწავლებლის ეროვნული სკოლაში“ მოხვედრის წინაპირობა. რაც შეეხება ტესტირებას (ჩვენ მიერ რესურსცენტრებთან ერთობლივად იქნება ორგანიზებული), დარეგისტრირებული აპლიკანტები, რომლებსაც არა აქვთ ჩაბარებული ტესტი, გაივლიან ტესტირებას, წარმატებით დაძლიეს შემთხვევაში, ისინი ასევე გასაუბრების გავლის შედეგად ჩაირიცხებიან.

ჩვენ გვჭირდება ადამიანები, რომლებსაც ნამდვილად აქვთ მინიმალური ცოდნა კონკრეტულ საგანში, რომელსაც კურსის ფარგლებში კიდევ უფრო გავზარდით როგორც თეორიული ნაწილით, ისე პრაქტიკით.

სკესმასწავლებელი – განათლების სისტემის განსაკუთრებული პრობლემა



ანა ფირცხალაიშვილი

ამ პატარა ადამიანებისთვის, რომელთაც სპეციალური საჭიროებების მქონედ მოვისხენიებთ, პირველკლასელობა კიდევ ერთი და ძალიან მნიშვნელოვანი, როგორც ეტაპია. მის გადალახვაში თანადგომა, პროფესიული დახმარება აუცილებელია მათი სწორი განვითარებისა და ინტეგრაციისთვის. მზად არიან თუ არა ჩვენი სკოლები ამ მომსახურების სრულფასოვნად განწესებისთვის, ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ მაქვს, თუმცა იმის თქმა ნამდვილად შეუძლებელია, რომ წლიდან წლამდე, თუნდაც მცირედით, მაგრამ რაღაც მაინც უმჯობესდება ამ ბავშვებისთვის, პირველ რიგში, მიმღებლობის თვალსაზრისით, რაც 6 წლის (და არა მარტო) სსმ მოსწავლისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობაა. გავიხსენოთ სულ რაღაც 10-12 წლის წინანდელი განწყობები, როცა კლასები იცლებოდა მშობლების პროტესტის გამო. მაშინ რიგაიანად პასუხის გამცემი და მშობლისთვის ახსნა-განმარტების მიმცემი ძალიან ცოტა ვინმე თუ იყო, სათანადო ცოდნისა და გამოცდილების არქონის გამო. დღეს ეს ეტაპი გავლილია, ბევრ სკოლაში გარემოცა ადაპტირებულია, მეტ-ნაკლებად შესაბამისი კადრითაც, სპეცმასწავლებლებითაც უზრუნველყოფილია, მაგრამ სწორედ ეს უკანასკნელი, სპეციალური მასწავლებელი, დღემდე რჩება განსაკუთრებულ პრობლემად. საქმე ისაა, რომ ქვეყანაში, რომელიც ცნობილი იყო თავისი პედაგოგიური და ფსიქოლოგიური სკოლების (რასაც ვადაძმევეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ სფეროში) დიდი ტრადიციებით, სპეციალური პედაგოგია საერთოდ არ არსებობდა. მეცნიერების ეს დარგი მხოლოდ ახლა ვითარდება ჩვენში.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ 1300 სპეცპედაგოგი უკვე მუშაობს სისტემაში, მაგრამ მათი დიდი ნაწილი – სპეციალური განათლების გარეშე, სხვადასხვა ტრენინგზე მიღებული ცოდნით, უკეთეს შემთხვევაში, მასწავლებელთა სახლის მიერ ორგანიზებული 120-საათიანი სწავლებით, რაც ბუნებრივია, საბაზისო, აკადემიურ ცოდნად ვერ ჩაითვლება. ვფიქრობ, არასწორი იყო, თავის დროზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გადაწყვეტილება, საბაკალავრო კურსიდან სპეციალური მასწავლებლის პროგრამის ამოღების თაობაზე. შემდეგ, 2013 წელს კი მიიღო პროგრამამ აკრედიტაცია, მაგრამ ამჟამად, 80 მსურველისგან შერჩეული მხოლოდ 20 სტუდენტი უფლებდა სპეცპედაგოგის პროფესიას, თუმცა არაერთ იცის რამდენი გააგრძელებს ამ მიმართულებით პედაგოგიურ საქმიანობას. გამოცდილებით, ძალზე მცირე. ფაქტი ისაა, რომ მომავალი პედაგოგი ისე ამთავრებს უნივერსიტეტს, ამ საგანში არც ერთი ლექცია არ უტარდება! უცხოური გამოცდილება სხვადასხვაგვარია, მაგრამ ბევრ ქვეყანაში ბაკალავრიატის III კურსი (II კურსზე ზოგად პედაგოგიკას გადაინ), მთელი წელი, ყველა საფეხურის მიმდევარად პედაგოგისთვის, სწორედ სპეციალური პედაგოგიკას ეთმობა. ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, როცა სკოლების უმრავლესობაში 5, 10, 15 სსმ მოსწავლე გვყავს და სპეცპედაგოგების დეფიციტი გვაქვს, არ მგონია, ბევრი ფიქრისა და კამათის დრო გვქონდეს იმის გასარკვევად, საჭიროა თუ არა უნივერსიტეტში, ბაკალავრიატის იტალიაში ყველა მომავალი პედაგოგი, განსაკუთრებით დაწყებითი კლასების, საფუძვლიან ცოდნას სპეციალური პედაგოგიკის დარგში. დიხს, საჭიროა, ასეთია ილიაუნის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამის თანახმად დღევანდელი აზრით, თუმცა, გამოცდილებით ვიცი, იმდენი ბიუროკრატიული ბარიერი შეხვედრება ამ საკითხის მოგვარებას, თავისი საგაზაფხულო და სამშობლოდ მოსვლით, ათასგვარი ქალაქდომანიით, კიდევ რამდენიმე თაობა გვეყოლება მხოლოდ ტრენინგგავლილი ან უზრუნველყოფილი ენთუზიატების იმედზე, ახა სხვა რა შეიძლება უნოდო ადამიანს, რომელიც ასეთ კოლოსალურ შრომას ეწევა 300-400 ლარიანი ხელფასით?!

ასეთი ადამიანები კი, საბედნიეროდ, მართლაც გვყავს. **ნინო ქარჩავა** (ბათუმი) დაწყებითი კლასების პედაგოგია, წელს პირველ კლასში აუტისტური სპექტრის მოსწავლე ჰყავს, ოჯახსაც წინასწარ გაეცნო და ფსიქოლოგთან და ასისტენტთანაც ჰქონდა კონსულტაცია, გარკვეული ინფორმაცია შეაგროვა და 2 კვირის განმავლობაში ინდივიდუალური გეგმაც დაწერა. „რაც არ უნდა დეტალურად დავიწერო მშობლებმა შეიღის მდგომარეობა, გაკეთებულზე მაინც შეიძლება რაიმე მოულოდნელობა გამოჩნდეს, რა მეთოდიც უნდა გიკარნახონ, შენ მაინც ვინცეს საკუთარის მიგნება, ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში ხვდები როდის, როგორ მიუდგე. შენ მიერ დაწერილი გეგმაშიც თანდათან შეგაქვს შესწორებები (საერთოდაც 2 კვირა ცოტა მგონია გეგმის შესადგენად). ეს ერთი მხარეა, რაც თავად ბავშვს ეხება, მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანია კლასი, რომელმაც უნდა მიიღოს მისგან განსხვავებული, უთანაგრძნის და იზრუნოს მასზე. ბევრი ახსნა და განსაკუთრებული საუბრები არ მჭირდება, ამისთვის სადამრიგებლო საათსაც ვიყენებ, ბავშვები ზედმეტ პრობლემას არ ქმნიან ამის გამო, თუმცა პატარები არიან და თავშეკავებულ ინტერესს იჩენენ ხოლმე“ – გვეუბნება ქალბატონი ნინო.

თანაკლასელთა ფაქტორზე საუბრისას, სხვა მასწავლებლებიც იმავეს ამბობენ – ისინი არასოდეს ავლენენ აგრესიას, მხოლოდ ინტერესს, ცნობისმოყვარეობას. რამდენად დელიკატურად და მათთვის გასაგებ ენაზე აუხსნი, როგორ მოახერხებ მათში თანაგრძნობის (და არა სიბრალულის) გამოწვევას, ეს მასწავლებლის ხელოვნებაზეა დამოკიდებული. ერთმა პედაგოგმა გვითხრა, როცა ამის საჭიროება და კლასიდან გამყავს ბავშვი, დასვენებაზე, ხილითა და ფუნთუშეულით ივსება რესურსთაბანო. ასე გამოხატავენ პატარები თავიანთ თანაკლასელზე ზრუნვას, რაც მისთვის ნე-

ბისმიერ თერაპიაზე უკეთესი შედეგის მომტანი შეიძლება გახდეს. წერილის მომზადებისას ამ საკითხზე მომუშავე სამეგრელო-ზემო სვანეთის მულტიდისციპლინური გუნდის წევრს **ფატი ახალაიას** ვესაუბრე, რომელმაც მითხრა, რომ წელს, ამ რეგიონში, რომელიც 9 მუნიციპალიტეტს აერთიანებს, 26 სსს მქონე პირველკლასელი ჰყავთ, მართალია მათთან მომუშავე სპეცპედაგოგებს მაგისტრატურაში არ აქვთ ეს კურსი გავლილი, მაგრამ ძალიან გამოცდილი და კვალიფიციური სპეციალისტები არიან.

ორ მათგანს ვესაუბრე – **მიმი სარჩიშვილას**, ზუგდიდიდან და **თეონა სხვიტარიას**, ფოთიდან. ქალბატონ მიმის პედაგოგიური საქმიანობის ოცნლიანი გამოცდილება აქვს, ჯერ კიდევ სპეცსკოლიდან დაწყებული, პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის განათლებით 11 წელია სპეცპედაგოგად მუშაობს; წელს სკოლას 6 სსმ მოსწავლე ჰყავს – ერთი პირველ კლასში, აუტისტური სპექტრის მქონე. ამბობს, რომ თანატოლების მხრიდან, მიმღებლობის თვალსაზრისით, არც მას აქვს პრობლემა, თუმცა ეს დიდწილად დამოკიდებული იმაზე, როგორ წარადგენ მას თანატოლების წინაშე. „ამის აღიარებული მეთოდები არსებობს და წარმდგენმა ეს აუცილებლად უნდა იცოდეს, ნასწავლი უნდა ჰქონდეს, მაგრამ პირველად უნარსა და გამოცდილებასაც აქვს მნიშვნელობა“, – გვეუბნება ქალბატონი მიმი.

რაც შეეხება თეონა სხვიტარიას, ამბობს, რომ ინკლუზიური განათლებით სერიოზულად 2007 წელს დაინტერესდა, როცა გერმანიაში, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობდა (გერმანული ენის მასწავლებელია). „გერმანიაში ეს თემა ძალიან აქტუალური იყო და მეც დავინტერესდი. საქართველოში დაბრუნებულმა რამდენიმე სახის ტრენინგი გავიარე, ბოლოს მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული 120-საათიანი სწავლება. გავიარე ექვსივე მოდული როგორც საგანმანათლებლო, ისე სამედიცინო კუთხით, ვიმუშავეთ კონკრეტულ მაგალითებზე – მასწავლებლის და მშობლის, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობებზე, გაცვანი მეთოდები, როგორ დაეკვირდეთ სხვადასხვა დარღვევის მქონე ბავშვებს და ბოლოს საკმაოდ მკაცრი გამოცდაც ჩავაბარე. დავიმსახურე სპეცმასწავლებლის სტატუსი. 6-წლიანი გამოცდილებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს პედაგოგიური მეცნიერების ის სფეროა, სადაც რწმენის, კოლოსალური შრომის, განსაკუთრებული მოთმინებისა და გამორჩეული პიროვნული უნარების გარეშე ვერაფერს გახდები. გარდა იმისა, რაც მასწავლეს, ბევრი რამ დამოუკიდებლად ვისწავლე, ხშირად დამოუკიდებლად გეთეს ინსტიტუტში და ვეცნობოდი სპეციალურ ლიტერატურას გერმანულ ენაზე, რაც ძალიან დამეხმარა. ძალიან რთული გზაა, მაგრამ შედეგი ღირს ამაღ. აბა, რა დამაინტერესებს იმ ემოციას, რაც ჩემმა ყოფილმა სსმ მოსწავლემ განმაცდევინა, როცა ეროვნულ გამოცდებზე უარი თქვა ასისტენტის დახმარებაზე და 100%-იანი დაფინანსებით სამედიცინოზე მოეწყო. შესაძლოა მსგავსი მაგალითები გამოხატოს, მაგრამ როგორი სტიმულია! ახლაც მყავს მოსწავლე, რომელსაც, დასაწყისში, ჩემი დანახვაც არ უნდოდა, მერე მხოლოდ 2-3 წუთით ვახერხებდი ურთიერთობას, ახლა სამი გაკვეთილი ისე გადის, ვერც მე ვიგებ და ვერც ის. აუცილებლად უნდა ითქვას დამრიგებლის როლზეც. ჩემ შემთხვევაში იგი ძალიან მეხმარება, შეიძლება ითქვას ერთად ვუმკლავდებით პრობლემებს.“

მართა გონიერი და ხალისიანი გოგოა. შარშან დიბეტის საკმაოდ მძიმე ფორმა აღმოაჩნდა. წელს პირველ კლასში წავიდა. მის სკოლას ეს გამოცდილება არ აქვს და არც სპეცმასწავლებელი ჰყავთ, მაგრამ მართას ჰყავს დახმარებელი, რომელმაც მასწავლებელთან ერთად, მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო, მათ შორის, თანაკლასელების გათვითცნობიერებაც. ამბობს, რომ ძალიან მარტივად გადაწყვიტა ეს საკითხი – შეგნებულად კლასში, ყველას თვალწინ უზომავდა შაქარს სპეციალური აპარატით (არა ნემსით), რამაც ბუნებრივად გამოიწვია ბავშვების ინტერესი, რას უკეთებს, თითქმის ყოველ გაკვეთილზე, მარიკა მასწავლებელი მართას? მანაც, სხვათა შორის, თითქოს განსაკუთრებულიც არაფერია, უპასუხა, რომ უზომავს შაქარს, ისევე, როგორც მშობლები უზომავენ მათ სიცხეს, როცა გაციებულები არიან.

გაიგეს, ყოველ შემთხვევაში, ახლა ეს საკმარისია, გაიზრდებიან და უფრო მეტსაც გაიგებენ. მთავარია, ერთნაირად არიან ჩართული სასწავლო პროცესში, ერთნაირად ერთობიან დასვენებებზე. დაძაბული მხოლოდ მარიკა მასწავლებელია, მართა გამუდმებულად მისი თვალთახედვის არეშია, იშვიათად მინახავს ემპათიის ასეთი უნარით ადამიანი, ასეთი მხოლოდ მოვალეობის გამო ვერ იქნები, არც მშობელთან შეტყობინებების გაგზავნას აყოვნებს, არც სხვა ბავშვებსა და მათ მშობლებს აკლებს ყურადღებას. „მადლობა? რისთვის, მეც ხომ მყავს შვილები, უკეთესს რას გავაკეთებ“ – გვეუბნება და მშვიდდება, რომ აქ ნამდვილად გაუმართლა მართას.

დარწმუნებული ვარ, სხვაც ბევრია მარიკა მასწავლებლის მსგავსი, მაგრამ მხოლოდ ცალკეული ადამიანების იმედზე, რაგინდ გულისხმიერები და ენთუზიაზმით სასვენო იყვნენ, სისტემა ვერ განვითარდება. ჩვენს სკოლებს სჭირდება თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი პედაგოგები, რომლებიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განათლებასა და ინტეგრაციაზე იზრუნებენ. მათი საფუძვლიანი საუნივერსიტეტო მომზადება საჭირო და ამისთვის სახელმწიფომ, რაც შეიძლება სწრაფად, უნდა იპოვოს ოპტიმალური, ეფექტური გზა.

– „მასწავლებლის ეროვნული სკოლა“ ერთჯერადი ინიციატივა იქნება თუ პირველი ეტაპის შემდეგ ისევე გაგრძელდება?

– როგორც გითხარით, იანვრისთვის, ჩვენ გვჭირდება ზუსტად ის რაოდენობა, რომლის გადამზადებასაც ამ ეტაპზე ვგეგმავთ. შემდეგ იმის მიხედვით ვიმოქმედებთ, როგორი მოდელირებაც გვექნება სექტემბერისთვის. თუმცა, სისტემაში კვლავ რჩებიან მასწავლებლები, რომლებიც ორ საგანს ასწავლიან და სათანადო კვალიფიკაცია არ აქვთ მეორე საგანში. ასე რომ, ხარისხიანი განათლების მიზნებიდან გამომდინარე, მათი მომზადების საჭიროება მაინც გვექნება, ამ ფუნქციას კი, თავისთავად, ისევე ეროვნული სკოლა შეასრულებს.

– როგორ განისაზღვრა კურსის ხანგრძლივობა და შეფასება?

– კურსის ხანგრძლივობა საგნების სპეციფიკიდან გამომდინარეობს. მაგალითად, დაწყებითის შემთხვევაში, სამ დამოუკიდებელ საგანში – ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება – მოგვიწევს მასწავლებლის მომზადება. ამ შემთხვევაში, თითოეული კურსი 30 საკონტაქტო საათისგან შედგება – სულ 90-საათიანი კურსია, გეოგრაფიის საგანში – 30-საათიანი კურსი გვაქვს, რომელსაც სამოქალაქო განათლების 15-საათიანი კურსი დაემატება. ეს იქნება განსხვავებული საათების რაოდენობა საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე. აბლაკანტი ამის ნახვას რეგისტრაციის ბმულზე შეძლებს თითოეული კურსის ქვეშ. საათების რაოდენობა ექსპერტებმა იმის მიხედვით დაადგინეს, რაც სჭირდება კადრს საბაზისო მინიმალური ცოდნის მისაღებად/შესახსენებლად. ვფიქრობთ, დეკემბრის ბოლომდე შევძლებთ მათ მომზადებას.

რა თქმა უნდა, კურსს აქვს შეფასების სქემა – მსმენელი რას აკეთებს, როგორ აკეთებს, რამდენად ემზადება სესიიდან სესიამდე, რამდენად კარგად ართმევს თავს იმ პრაქტიკულ მოთხოვნებს, რაც პროგრამაშია ჩადებული. პრაქტიკის გავლას მსმენელები, ყოველკვირეულად, უშუალოდ სკოლაში შეძლებენ. კვირაში ერთი დღე ისინი, გამოცდილ მასწავლებელთან ერთად, დააკვირდებიან მიმდინარე საგაკვეთილო პროცესს, კლასის მართვას, გაკვეთილის დაგეგმვას, მოსწავლის შეფასებას და ა.შ. მასწავლებლობის მსურველი პრაქტიკაში აკვირდება საგაკვეთილო პროცესს, რაც მას მომავალში გაუადვილებს სკოლაში მუშაობას.

ამ კომპონენტით დადგინდება, წარმატებით გაივლის თუ არა კურსს მსმენელი და მიიღებს თუ არა ამის დამადასტურებელ სერტიფიკატს. იანვარში, არდადეგების დასრულების შემდეგ, ისინი მზად უნდა იყვნენ კოლმში შესასვლელად.

საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს ვუყენებთ – მოსამზადებელი კურსი არ გულისხმობს მხოლოდ ლექციის ტიპის საკონტაქტო საათებს, გვექნება ინტერაქტივიც და უუკუპერიოდო, რადგან ჩვენი მთავარი მიზანია, კლასში ისეთი მასწავლებლები შევიყვანოთ, რომლებშიც დარწმუნებული ვიქნებით, რომ გამართულად შეძლებენ სწავლებას – წარუმატებლების ადგილი სკოლაში არ არის.

– ვის ანდობთ ასეთი კადრების მომზადებას – ვინ იქნებიან ტრენერები?

– „მასწავლებლის ეროვნული სკოლაში“ კურსებს წარუძღვებიან ჩვენი გამოცდილი ტრენერები, რომლებიც უკვე წლების განმავლობაში თანამშრომლობენ ცენტრთან. ესენი არიან სხვადასხვა საგანში ძალიან კომპეტენტური კადრები, ხშირ შემთხვევაში, საგნის მასწავლებლები, რომლებსაც, ასევე, გავლილი აქვთ ტრენერთა მომზადების სპეციალური პროგრამა. ისინი ჩავლენ და ასწავლიან იმ რაიონებსა და ქალაქებში, რომელშიც დაგეგმილია პროგრამის ამოქმედება. დარწმუნებული ვართ, რომ ამ ადამიანებს შეიძლება ვანდოთ ახალი კადრების მომზადება.

– დაბოლოს, გააგრძელებს თუ არა ცენტრი მასწავლებელთა ტრადიციულ ტრენინგებს, თუ ამასაც ეროვნული სკოლა ჩაანაცვლებს?

– სამომავლოდ ცენტრი აქვს სიახლე, რაც გულისხმობს სხვა ორგანიზაციების შემოყვანას მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროცესში, შესაბამისი წესი ერთი კვირაა რაც დამტკიცდა, ამ სიახლეზე მომავალში გვექნება საუბარი. ამ ეტაპზე კი, პრაქტიკოს მასწავლებლებს გამოცდებისთვის მოსამზადებელ ტრენინგებს ვთავაზობთ. ეს ტრენინგები ახლაც მიმდინარეობს და, ბუნებრივია, ნოემბრის გამოცდებამდე გაგრძელდება. ამასთანავე, რამდენიმე მოდულზე გამოცხადებული ვაკეებს ტრენინგი, რომელსაც ასევე გავგრძელებთ. „მასწავლებლის ეროვნული სკოლა“ ამ ტრენინგებს, განსხვავებული მიზნიდან გამომდინარე, ვერ ჩაანაცვლებს – მიმდინარე ტრენინგების მიზანი გამოცდისთვის მომზადება და მოქმედი მასწავლებლების პროფესიული განვითარებაა, ხოლო სკოლის მიზანი მასწავლებლობის მსურველების სპეციალური კურსით მომზადებაა, რომლის შედეგადაც, მასწავლებლები და მასწავლებლობის მსურველები, მცირეკონტინგენტიან სკოლებში, რამდენიმე საგნის სწავლებას შეძლებენ, ანუ ამ პროგრამების მიზნიც განსხვავებულია და სამიზნე აუდიტორიაც.

სტუდია

ვაჟასა და მოსარტის დუეტი ინტერვიუ მიხომოსულიშვილთან

ჩემი რესპონდენტი მხარატი მიხომოსულიშვილი, რომელიც, გასულ კვირას, კონკურსის – „საუკეთესო მოთხრობა მასწავლებლისთვის“ გამარჯვებული გახდა. კონკურსსანათებს ნაღვს მოთხრობა მასწავლებლებისთვის ირაკლი კაკაბაძის ფრაზის მიხედვით უნდა დაენერათ – „ძილში კი სიზმრად მოდიან გავშვები, მოდიან გავშვები და ნიშნავს მიხარენ“. წლებადელი კონკურსის გამარჯვებული მხარატი ვაჟა-ფშაველას მასწავლებლობის ეპოქას აცოცხლებს და საარქივო მასალებზე დაყრდნობით (21 განცხადებით), ქმნის სამანდილიან მოთხრობას „მდოგვის მარცვლისა და ანგელოზებისთვის“, მოცარტის „სონატა ფორტეპიანოსთვის №11, ლა-მაჟორი“-ს თანხლებით. მოთხრობის სიუჟეტი, ღოკომენტურ მასალასთან და მხარლის მიერ გამოგონილ ამბავთან ერთად, საინტერესოდ ვითარდება, აკითხველი მომხრე ხდება, როგორ გრძნობდა მამასახლისთან ნაჩხუბარი ვაჟა დიდი თონეთის სკოლის მასწავლებლებთან, იმისთვის, რომ ახლად დაწერილი „ალუდა ქეთილაური“ ნაუკითხოს, მათ კი მასწავლებელი ნიშნავს შაჟასონს.



სათაურის ვერსიის შესახებ

„მდოგვის მარცვლისა და ანგელოზებისთვის“ (21 განცხადება სამანდილიან მოთხრობისთვის, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის „სონატა ფორტეპიანოსთვის №11, ლა-მაჟორი“-ს თანხლებით). საღვთო სჯულის სწავლებისას ვაჟა ბავშვებს იგაგებს ასწავლიდა. მდოგვის მარცვლის იგავში ქრისტე ეუბნება თავის მოწაფეებს, რომ მარცვლებიდან ყველაზე პატარა მდოგვის მარცვალია, მაგრამ, რომ დათესავ, ყველზე დიდი ხე იზრდებაო, უფლის ჩიტები მოფრინდებიან და იმ ხეზე სხდებიანო, ეს ჩიტები ანგელოზები არიანო. ვაჟამ ეს იგავი რომ ბავშვებს მოუყვა, აუხსნა, რომ თქვენ ამ მარცვლებივით პატარები ხართ, მდოგვის მარცვლები ხართ და დიდ ხეებად უნდა გაიზარდოთ, მერე ანგელოზები თქვენთანაც მოვლენ და ჩამოსხდებიანო. მაგრამ მხოლოდ სწავლამ და განათლებამ შეიძლება გაქციოთ ბუმბერაზ ხეებად, თუ განათლებული არ იქნებით, მაშინ უფლის ანგელოზებიც არ მოვრინდებიან თქვენთანო. მოთხრობის სათაურიც ამას ნიშნავს.

ლიტერატურას აქვს უნარი მარადიულად აქციოს რჩეული პერსონაჟები

როცა ლიტერატურაში მასწავლებლის ცხოვრება აისახება და როცა ამას კარგი მწერალი დანერს, ლიტერატურაში მისი ადგილი საზღვარს გარანტირებულია. ეპოქებს შემორჩება ეს პერსონაჟები და ტიპები, როცა ჩვენ ცოცხლები აღარ ვიქნებით. ამის მაგალითი ლიტერატურაში უამრავია, თუნდაც, დავით კლდიაშვილის „შემოდგომის ახნაურები“. შემდეგ თაობები მისი მეგობრობით აღადგენენ იმ დროის ადამიანებს, ამ შემთხვევაში მასწავლებლებს – როგორი იყო ჩვენი დროის მასწავლებლის ცხოვრება, რა პრობლემები წინაშე იდგა 21-ე საუკუნის 10-იანი წლების მასწავლებლები და თუნდაც, განათლების სისტემა. ამიტომ, ვფიქრობ, რომ კონკურსი ამ კუთხით ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია, სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას და, რაც მთავარია, ყოველწლიურად, მატებს ლიტერატურას ათ საუკუნეთა მოთხრობის მასწავლებლებზე, ლიტერატურას კი ნამდვილად აქვს უნარი, მარადიულად აქციოს რჩეული პერსონაჟები. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, კონკურსის აქტივობები ძალიან ზუსტი და სწორია, რაც მთავარია, ქვეყნისთვის, მასწავლებლისთვის და განათლების სისტემისთვის უმნიშვნელოვანესია.

წელს კონკურსის ძალიან საინტერესო თემა ჰქონდა, ისეთი, ნებისმიერ ფანტაზიას რომ გამოაღვიძებს, ძალიან მოულოდნელი მდგომარეობა, მართალია ძილში, მაგრამ მაინც სიტუაცია შეტრუნდა, თავდაყირა დადგა – როლებს იცვლიან მასწავლებლები და მასწავლებლები: მასწავლებლები სიზმარში მასწავლებლებს ნიშნავს უნერენ. ის 92 მოთხრობა, რომელიც კონკურსში მონაწილეობდა, სწორედ ამ თემაზეა შექმნილი.

კონკურსში მონაწილეობა

მასწავლებლის ცხოვრებასთან ნაკლებად მაქვს შეხება მას შემდეგ, რაც ჩემმა შვილმა სკოლა დაამთავრა, მაგრამ ძალიან კარგად ვიცი ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფია და სულ მინდობდა მისი თონეთში ყოფნის პერიოდზე (1886-88 წწ., როცა ვაჟა გაგზავნილი იყო სოფელ დიდ თონეთში მასწავლებლად) რაღაც დამეწერა. უფრო სწორად, შარშან მინდობდა ამის მოყოლა, როცა კონკურსის ორგანიზატორმა, ნატო ინგოროყვამ მოწოდებულა შემომთავრა, მაგრამ ვერ მოყვეყვი იმიტომ, რომ თონეთში არ ვიყავი ნამყოფი, არ მქონდა მოსმენილი, როგორ ლაპარაკობენ დიდი თონეთელები, როგორი დიალექტია, ქართლური დიალექტის რომელი მხარეა, რა სიტყვები ახსოვთ, როგორ იყენებენ ამ სიტყვებს. ეს აუცილებლად უნდა მომემსინა და ჩემი თვალთ მენახა ადგილი, სადაც ვაჟა პატარებს ასწავლიდა. მართალია, ეს შენობა ახლა გომურად ჰქონიათ ქვეული, ინგრევა, ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, მაგრამ ჩემი იქ ჩასვლა აუცილებელი იყო, რადგან სულ სხვა რეალობა შემოდიხს სიტყვებში; სხვაგვარად დაწერილი მხოლოდ აბსტრაქტული და მოგონილი, ფურცლებიდან დანახული იქნებოდა. როცა კაბინეტში ზიხარ, გარეთ არ გადიხარ და ისე წერ, რაც არ უნდა მოინდომო (სულ რომ მოიკლა თავი), სიტყვები რჩებიან მშრალ, კაბინეტის სიტყვებად. ასეთი სიტყვები კი არ მზიბლავს, მე მიყვარს მინდორში, მთაში, ტყეში ადამიანებთან, რეალურ ცხოვრებაში მოსმენილი და დაწერილი სიტყვები – მუხლზე დადებული ბლოკნოტში ფანქრით ჩაწერილი ფრაზები და წინადადებები, მერე ამ ფრაზებიდან გაცოცხლებული ამბები. თუმცა, ახლა ფანქარაც აღარ მჭირდება, რადგან მოსმენილი თავისით

მამასხორდება და ლაგდება ჩემს მეხსიერებაში. წლების მერე ეს გამოცდილება თავისით მოვიდა – იღებდა ჩემს მეხსიერებაში პეიზაჟი, ბუნება, ადამიანების განწყობა თუ სხვა... წერის დროს ფიქრიც არ მჭირდება, ისე მახსენებს თავს.

დათია ბადალაშვილი, არის ასეთი ახალგაზრდა ძალიან კარგი მწერალი, რომელიც თავის სოფელში, დიდ თონეთში დაბრუნდა, ჩამოქცეული ბიბლიოთეკიდან, რომელსაც ზედ აწვიდა, ნიგნები გადასარჩენად სახლში წაიღო. მერე ჩამოიარა ყველას, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორიდან, გიორგი კეკელიძიდან დაწყებული რიგითი ადამიანი და მთავრებული, ვისთვისაც ნიგნი ფასეულია და დახმარება სთხოვა, რომ გვერდში დადგომოდნენ სოფლის ბიბლიოთეკის გადასარჩენად. ეს ყველაფერი შეძლო. ბიბლიოთეკისთვის ფართი გამოუყვეს ერთ შენობაში, მერე დაეხმარნენ ორგანიზაციები, საზოგადოებები, კერძო პირები, ვინც კი შეიტყო დათიას ინიციატივის შესახებ (სამწუხაროდ, სოფლებში ბიბლიოთეკები თითქმის აღარ შემორჩა). ასე გააცოცხლა დიდ თონეთში დათიამ ბიბლიოთეკა, სადაც ახლა ბავშვები დადიან და კითხულობენ. ნიგნების შეგროვება სწორედ საბავშვო ლიტერატურიდან დაიწყო (მეც ვაჩუქე ნიგნები), ბევრი ადამიანი და ორგანიზაცია ჩაერო, საქვეყნო საქმედ იქცა და საკმაოდ კარგი ნიგნად ფონდიც შეიქმნა.

დიდი თონეთის სკოლას ვაჟა-ფშაველას სახელი აქვს მინიჭებული და დათიამ სოფელში „ვაჟაობა“ მოაწყო – ბიბლიოთეკის გახსნასთან დაკავშირებულ ზეიმს დაარქვა ასე. ბევრი სტუმარი ეწვია, მწერლები, ანსამბლები და ა.შ. სწორედ მაშინ ჩავედი სოფელში პირველად, გავიცანი დიდთონეთელები. დათიას ერთი ნათესავის წყალობით, მისი დიდი პაპის, გლახო ბადალაშვილის ისტორიული ყანაიდან, რომლითაც ვაჟა სასმელს მიირთმევდა ხოლმე, ერთი სადღეგრძელო მეც დაველიე. გლახო ვაჟას მონაფე ყოფილა, როცა ვაჟა ბადალაშვილებთან სტუმრად მიდიოდა, თურმე ამ ყანაიდანაც დალევდა ხოლმე. ამ სასმის ახლაც ძალიან უფრთხილდებიან და იშვიათად, თუ ვინმეს ხვდება წილად პატივი, რომ ამ ყანაით შესვას სასმელი. მიხარია, რომ ეს უფლება მოვიპოვე.

რაც მთავარია, დიდ თონეთში, ვაჟაობაზე ჩასულმა გავიცანი სოფლის მცხოვრები ადამიანები, მოვისმინე მათი საუბარი, ვნახე გარემო, სადაც ვაჟა ბავშვებს ასწავლიდა. საოცარი გარემოა, სადაც არაჩვეულებრივი ქართულით მოსაუბრე ხალხი ცხოვრობს – ქართლური დიალექტი შერეულია მითოლოგიით. იქიდან რომ დაგვრუნდა, მიგვხვდა, უკვე შემეძლო მოთხრობაზე ფიქრი. დავინყე საკონკურსო ნაწარმოების წერა.

როგორია მიხომოსულიშვილის ლიტერატურული მასწავლებელი

მოთხრობა 21 განცხადებისგან შედგება, სადაც ჩანს, თუ როგორ დაუპირისპირდა სოფელში მასწავლებლად ჩასული ვაჟა სოფლის მამასახლისს და მღვდელს, რომელიც მისი ცოლის ძმა იყო. ეს ორი ადამიანი ერთად ყველფდა ხალხს, გადასახადებს აწერდა. ვაჟა, როგორც წესი, ყველგან უპირისპირდებოდა ასეთ უსამართლობას. შედეგადაც არ დააყოვნა – დაიწყო საჩივრების წერა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, თბილისის გუბერნატორის კანცელარიის სახელზე და ითხოვდნენ ვაჟას თავიდან მოშორებას. საჩივრის ადრესატები კი ვაჟას ავალდებინენ, პასუხი გაეცა ბრალდებებისთვის, ეს პასუხები შემორჩენილია არქივში, იქვე ინახება საჩივრებიც. არქივიდან ამოვიღე მასალები და დავინყე ფიქრი, ახლა რა გავაკეთო-მეთქი...

თუ მუსიკიდან არ დავინყე ფიქრი, ისე ვერ ვწერ. თავისით მენვია მოცარტის საფორტეპიანო კონცერტი №11, ძალიან ცნობილი, რომელიც რონდო Alla Turca-თი მთავრდება. სამ წელიწად აგებული სონატა – შესავალი ნაწილი, შუაში მენუეტი და ბოლოს რონდო Alla Turca. მიგვხვდა, რომ ეს სონატა იყო ის, რაც ამბავთან უნდა დამეკავშირებინა და ასე დაეწყო მოთხრობის სიუჟეტი – ვაჟა რომ ჩავიდა სოფელში და მასწავლებლად დაიწყო მუშაობა (ვიდრე მამასახლისი დაუპირისპირდება), ეს სონატის შესავალია; მამასახლისთან დაპირისპირება და იძულებით მისი თონეთის სკოლიდან წამოსვლა სონატის მეორე ნაწილი – მენუეტი. რაც შეეხება სონატის მესამე ნაწილს, როცა უკვე მწერალი და მუსიკოსი ერთად მუშაობენ, რონდო Alla Turca, სწორედ აქ შემოიღის ილია ჭავჭავაძე, რომელმაც თუმანი მისცა ვაჟას და უთხრა, რომ თონეთში ნავიჯდეს, ბავშვებს შაქარყინულებით ახალი წელი მიულოცოს და იქნებ, მამასახლისსა და მღვდელსაც შეურიგდეს. ვაჟა თანხმდება ერთი განზრახვის გამო – იმ დროს „ივერიაში“ ახალი დაბეჭდილია „ალუდა ქეთილა-

ური“. ვაჟა სოფელში ადის, ურიგდება მამასახლისსა და მღვდელს და ატარებს გაკვეთლს – ამოიღებს „ივერიის“ ორ ნომერს, სადაც „ალუდა ქეთილაურია“ დაბეჭდილი და ეუბნება ბავშვებს, მე თქვენ ნავიკითხავთ ჩემს ნაწარმოებს, რომელიც აქ მომხდარი კონფლიქტის შემდეგ დაწერე, კარგად მომისმინეთ და შემეფასეთ, ნიშნები დამინერეთო. პროცესს სოფლის მცხოვრებლებიც ესწრებიან, მათ შორის მამასახლისის მხარდამჭერებიც. მოსწავლეებს თავიდან ერიდებათ ვაჟასთვის ნიშნების დაწერა, მაგრამ ბოლოს მაინც უწერენ. აქ ჩემი მოგონილია ილიას ამბავი, როგორ მისცა თუმანი ვაჟას, ვაჟა როგორ ავიდა სკოლაში, ნაუკითხა მოსწავლეებს პოემა და ბავშვებმა როგორ დაუწერეს გაზეთზე ნიშნები პოეტს.

ამით მინდობდა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ მეთქვა, მკითხველს წარმოედგინა, თუ რა მდგომარეობაში იყო ვაჟა, ვიდრე „ალუდა ქეთილაურს“ დაწერდა. მასავით მოკვეთილი და გამოგდებული თონეთის თემიდან. მინდობდა მეჩვენებინა, თუ რატომ არ შეიძლება ასეთი შეურაცხყოფის მიყენება სიმართლისთვის მებრძოლი, თუნდაც „მტრადქცეული“ ადამიანისთვის, რომელიც საზოგადოებამ იმის გამო მოიკვეთა, რომ მან უსამართლობა ამხილა. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამ მოთხრობაში ვაჩვენე, არის ის, რომ სოფელში დაბრუნებულმა ვაჟამ შეთქმულება კი არ მოაწყო „ხევისბერის“ ჩამოსაგდებად და მოსყიდვით მხარდამჭერების ძებნა კი არ დაიწყო (მე ხევისბერი გავხდები, შენ – მოადგილე და ა.შ. ლენინივით და სტალინივით რევოლუციას კი არ მოაწყო), არამედ საზოგადოებას აჩვენა, როგორ არათანაზოაზრედდაც უნდა მიგანდეს ღირსეული, ხელი არ უნდა მოჭრა, არ მოიკვეთო, რადგან საზოგადოებაში დარჩებიან ადამიანები, რომლებიც ამგვარად გააგრძელებენ ფიქრს... იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოება მაინც შეიცვლება უკეთესობისკენ... ერთი მაინც აღმოჩნდება ჩვენ შორის, რომელიც 27 წლის ვაჟასავით დაუპირისპირდება უსამართლო მმართველს და მის თანამოაზრეებს, რომლებსაც ფულის კეთების მეტი არაფერი აინტერესებთ. აუცილებლად იმაღლებენ ხმას იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც საკუთარ კეთილდღეობას ღრუბების, ქვერგობლებისა და გაჭირვებულების ხარჯზე მოიწყობენ. ამ ამბის მოყოლაში, როგორც ვითხარით, მოცარტი დამეხმარა.

თანამედროვე მასწავლებელი მარადიული გამოწვევების პირისპირ

მასწავლებელი ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანია, ის მომავალ საქართველოს აგებს, შეიძლება თამამად ითქვას, ფრონტის წინა ხაზზეა. როგორი იქნება ჩვენი მომავალი, ამაში გადაწყვეტილი როლი მასწავლებელს აკისრია – ვინ იქნება მასწავლებელი, ეს ნიშნავს იმას, როგორი იქნებიან ჩვენი შვილები. რაც მთავარია, ეს ეხება ყველა ოჯახს, თითოეული ადამიანს.

ეს არის მოთხრობა მასწავლებელზე მასწავლებლებისთვის, რომელიც შეიძლება საუკეთესო რესურსად აქციოს თანამედროვე მასწავლებელმა, თუნდაც ვაჟას ეპოქის სწავლებისას. ვფიქრობ, ეს არ არის მხოლოდ საკონკურსო მოთხრობა. აქ ნაჩვენებია გამოწვევები მართალია, იცვლება დრო, მაგრამ, სამწუხაროდ, უცვლელი რჩება პრობლემები.

პიროვნება როგორ ხვდება ძალადობას? არის რაღაც, რაც უნდა მოვიტოვოთ, მაგრამ არსებობს ძალადობა, რომლის მოთმენაც დაუშვებელია, რის ფასადაც უნდა დაგვიჯდეს. მასწავლებელი, რომელიც ამ მოთხრობას დაეყრდნობა, მასწავლებლის მარტივად აუხსნის იმასაც, რომ ხშირად, როცა მშობელი იძულების წესით სკოლაში აგზავნის ან გაკვეთილს ასწავლის, ეს მოსათმენია, რადგან მიზანი მათი კარგი მომავალი – განათლება, მაგრამ არის ძალადობა, რომლის შეგუებაც არ შეიძლება, არაფრის ფასად, თუნდაც ისე ძვირად დაუჯდეთ, როგორც ალუდა ქეთილაურს. მერე ეს ფიქრი გავრძელებდა და საზოგადოება მივა იქამდე, რომ დაინახავს ცვლილებების აუცილებლობას. მოთხრობაში მაშინდელი ეპოქა გაცოცხლებული, მაგრამ რითი განსხვავდება დღევანდელისგან? დღევანდელ მასწავლებელსაც უწევს, ხშირ შემთხვევაში, მოხელეებთან დაპირისპირება უსამართლობის გამო. როგორ უნდა მოაგვარონ ეს პრობლემები? უნდა დაუპირისპირდნენ თუ თანამშრომლობით მიადნობენ სანადელს? ამ მოთხრობით მინდა ვთქვა, რომ ჩხუბით არაფერი გამოვა, რაც უნდა მექრთამე იყოს კონკრეტული მოხელე, მასთან მასწავლებელი ჩხუბით ვერაფერს გახდება, ცუდ მოხელესაც კი რაღაც კარგი უნდა გავაკეთებინოს ბავშვებისთვის, განათლებისთვის. ცხვირ-პირი კი არ უნდა უმტვრიოს, როგორც ამას ვაჟა შეეცადა (ესეც გაკვეთილია), თუნდაც ამ

სტუმარი

გაკვეთილით ისწავლოს, როგორ მოიქცეს მსგავს ვითარებაში. დღესაც შეიძლება ასეთი რამ მოხდეს სკოლაში. მოხელე დირექტორსაც ნიშნავს, სასწავლო ნაწილის გამგესაც და სხვა ზემდგომ თანამდებობის ადამიანსაც. ვაჟას შეეძლო ამ ურთიერთობაში, ილიამ სწორედ ამიტომ სცადა ამ ფორმით ახალგაზრდა პოეტის შეცდომის გამოსწორება, ის ხომ ბრძენი იყო. თუ დამოუკიდებელი პიროვნება ხარ, უნდა სწორად განსაზღვრო, სად მოითმინო და სად არა, გააანალიზო კონკრეტული ქმედება სასარგებლოა თუ არა შენთვის და შენი მოსწავლეებისთვის.

სიმართლე გითხრათ, ცოტა მაშინებდა, მეცხრამეტე საუკუნის ეპოქის მასწავლებლის მაგალითი რამდენად მიესადაგებოდა დღევანდელს. მაგრამ, აქ ვაჟაზე ვსაუბრობთ და მის ნაწარმოებზე, რომელიც აქტუალურად არ დაკარგავს არც 21-ე და არც 25-ე საუკუნეში. ჩვენი შვილები წლების შემდეგაც იკითხავენ, მივიდა კი საზოგადოება იქამდე, რომ ეს თემები აქტუალური აღარ არის? ეს მოთხრობაც ამ მარადიულ თემებს ეხება. მარადიულია დაპირისპირება მასწავლებლის მოხელეებთან, მარადიულია დაპირისპირება ბავშვისა გარემოსთან, რომელიც ხან მოძალადეა და ხან არა. ბავშვმა უნდა იცოდეს პასუხი, რა არის მნიშვნელოვანი, ამ პასუხებამდე მისასვლელი გზა კი მას მასწავლებელმა უნდა გაუკვლოს, უნდა ჩამოუყალიბოს ის სწორი ღირებულებები, რომელზეც ჭეშმარიტება დგას, რომ რეალური და გაუნათლებელი ადამიანები ასეთივე საზოგადოებას შექმნიან. რთული პროცესია გასავლელი, რომ კაცობრიობა მივიდეს სიმართლემდე.

სკოლის როლი საზოგადოების ფორმირებაში – როცა საზოგადოება იწყებს განათლებას ზრუნვას, მაშინ იწყება წინსვლა...

დღევანდელ სკოლებთან შეხება მაქვს „ცოცხალი წიგნების“ პროექტის ფარგლებში. მწერლები მივიდნენ სკოლებში, ვხვდებით ბავშვებს და ვსაუბრობთ, მათ შორის, ხშირად რაიონებშიც. შევნიშნე, რომ თანამედროვე სკოლას ბევრი პრობლემა აქვს. ისე როგორც დანარჩენ სფეროებზე, ცხოვრების დაბალი დონე სკოლაზეც აირეკლება. მეტიც, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები პირდაპირ აისახება სკოლაზე, მასწავლებელზე, და ზოგადად, განათლების ხარისხზე. ამიტომ ძალიან ბევრი სამუშაო აქვთ. სკოლამ უნდა განაგრძოს თავისი სრულყოფა, იმ სისტემის სრულყოფა, რითაც მოსწავლეს ასწავლის, უნდა შეძლოს ბავშვის დაინტერესება. ერთგვარი ძალადობა სწავლება, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, ძალიან სასარგებლო ძალადობა – მხოლოდ სწავლით ხდება ადამიანი განათლებული. განათლებული რომ გახდეს, ამას ბევრი შრომა სჭირდება, შრომას კიდევ მიჩვევა. სკოლამ უნდა შეაჩვიოს მოსწავლე შრომას, რომ კარგი განათლება მიიღოს. მესმის, რომ გარედან ლაპარაკი

კი იოლია, პრაქტიკაში განხორციელება კი რთული, მაგრამ როცა ამ პროფესიას ირჩევ, ავტომატურად დგები მონინავე ხაზზე, განსაზღვრავ მომავალ საქართველოს, თუ როგორი იქნება ის. ამიტომ მასწავლებლებს ყველანაირად მხარში უნდა დაუდგეთ, რომ მათ ღირსეული და განათლებული მომავალი თაობები გაგვიზარდონ. განათლება საზოგადოებისთვის გადაწყვეტილია, თუნდაც იმისთვის, რომ არ ვურტყათ საყვრიან ახალგაზრდა ბიჭებს მხოლოდ იმის გამო, რომ რაღაცით ჩვენგან განსხვავებულები არიან. მივცეთ ჩვენ გვერდით თანაცხოვრების უფლება. ვიდრე ამას გავაკეთებთ, დავუსვათ კითხვა ჩვენს თავს – რას ვერჩით? აქამდე უნდა მივიდეთ ისე, როგორც ვეროპის ქვეყნები. ამას კი მხოლოდ განათლებით შევძლებთ.

სამწუხაროდ, მაინც იქამდე მივდით, რომ ჩვენში ძალიან რთული აღმოჩნდა ძალადობის დაძლევა. სამწუხაროდ, ეს ყველგან და ყველავერზე აისახება – სკოლაშიც, ქუჩაშიც, ოჯახშიც. ურთიერთობებმა რომანტიულობა დაკარგა, ძალიან მკაცრი გახდა და მივიღეთ დაძაბული და დაუნდობელი საზოგადოება. ამას ერთგვარი წინაპირობაც აქვს – ქვეყანამ დიდი ქარტახილები გაიარა – გვახსოვს ბანდების თარეში, შიდა ომები, აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაკარგვა, მერე ისევ ომი... ყველაფერმა კი დატოვა კვალი, რომელიც საზოგადოებაზე ნეგატიურად აისახა. აქაც განათლებამ უნდა გვისხნას, საზოგადოებას განათლების გარედა ვერაფერი გადაარჩენს. მწერლები, მხატვრები, ნებისმიერი ადამიანი მხარში უნდა დაუდგეთ მასწავლებელს, თუ გვინდა, რომ მომავალი გვექნდეს. თუ მეტი განათლება გვექნება, მერე ისიც გვეცოდინება, რომ ჩვენგან განსხვავებული ადამიანების ჩასაქოლად რაზმები არ უნდა შევქმნათ და კომბლებით არ უნდა გავილაშქროთ... მთელი ჩემი საქმიანობა, ნარსულშიც და მომავალშიც, ამ მთავარ სათქმელს უკავშირდება. განათლება, პირველ რიგში, არის იმის ცოდნა, შეგვეძლოს ცუდის და კარგის გარჩევა და მერე იმაში დაოსტატება, რაც შენ გაინტერესებს, რისი კეთებაც გინდა. განათლების მიცემა მარტო არითმეტიკის სწავლება არ არის – ეს ნიშნავს ადამიანის გამოყვანას ბნელიდან. სიტყვაც პირდაპირ ამას ნიშნავს – განათლება, ანუ სინათლე, ნათელი მოდის შენთან და როცა ნათელი მოვა, ის ისე გაანათებს, რომ დაგანახებს ბოროტსაც და კარგსაც. იმის გამოაჩვენებინებ და გეხმარება, შენ რომელი ხარ ან რომელი გინდა იყო და გამოვეს არჩევანის საშუალებას, საით წახვიდე. აქ კი გადაწყვეტილია სკოლა – ბავშვის აღზრდა და ხარისხიანი განათლების მიცემა. საზოგადოება, რომელსაც არ აქვს კარგი განათლების სისტემა, ვერასდროს განვითარდება. როცა საზოგადოება იწყებს განათლებაზე ზრუნვას, მაშინ იწყება წინსვლა. ამის საუკეთესო მაგალითი დედამიწას, 40 (თუ მეტიც არა) საუკუნის წინათ შუმერებმა მისცეს – საზოგადოება, პირველ რიგში,

ქმნის სკოლას, დგამ მერხს, მერხთან სვამ ბავშვს, რომელსაც მოუყვან მასწავლებელს. მერე რა, რომ თიხის ფორფიტის დაფებზე ნაკვეთილი ლერწმით უნერ იეროვლიფებს... მთავარია, ასწავლი და იწყებ მათ განვითარებაზე ზრუნვას.

სხვათა შორის, შუმერი ჩვენ ერთი რამით ძალიან გვგავდა – მთელი შუმერი ლექსებს წერდა, როგორც მთელი საქართველო (ზოგი ჩუმად, ზოგი გაცხადებულად). ეს იცით რისი ნიშანია? როცა საზოგადოება წერს (თან ლექსებს), ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება ოცნებობს. იცით როდის ოცნებობს? მაშინ, როცა საზოგადოებას, ანუ მაშინდელ შუმერულ ქალაქს აქვს სალოცავი ტაძარი, ჰყავს გონიერი მმართველი, გარშემო შემოვლული აქვს გაღავანი და, რაც მთავარია, თუ აქვს სკოლა, – აი, მხოლოდ ამის შემდეგ ვითარდება და მაშინ იწყებს ოცნებას, ანუ ლექსების წერას.

მაშას და მოცარტის ღუფი შიდა

ვაჟას და მოცარტის შერწყმა თავისით მოხდა, როგორც ხდება ხოლმე ჩემი წერის დროს. ჩემი წერის მექანიზმი ასეთია – მარაგში ძალიან ბევრი კომპოზიციური მყავს და, რაც მთავარია, მაქვს ამავე. მთავარია, ვიგრძნო, ამ ჩემს ამავეს როგორი მუსიკალური ჟღერადობა აქვს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა ინერტობა მოთხრობა „მლოვის მარცვლისა და ანგელოზებისათვის“, მოცარტი რომ არ ყოფილიყო, ვერ დავწერდი. უნდა მესმოდეს მუსიკა, რომელიც სიუჟეტის განვითარებას ამისხნის. ამ მოთხრობის შემთხვევაში ეს კარგად ამისხნა მოცარტმა, ამ მოთხრობას მოცარტის ჟღერადობა აქვს, თორემ, როცა ვაჟას ბიოგრაფიული წიგნი დაინერა, ვუხუბე ვერდის „ტრაგიატას“ ჟღერადობა მიიღო. იქ ყველაფერს „ტრაგიატას“ მიღმა ვხედავ, განწყობაც და იმ წიგნის მთელი სტილიც იქიდან მოდის.

მოთხრობაში „მლოვის მარცვლისა და ანგელოზებისათვის“ კი მოცარტმა თვითონ იპოვა ეს ამავე და თავისი სონატის მიხედვით წაიყვანა, სამ ნაწილად. ამ მოთხრობის ბოლო ნაწილში მოცარტი მეუბნება, რომ აი, აქ, რონდოა, აქ უკვე ცეკვა აღარ არის – ხელგაშლილები მიფრინავთ ცაში, ისეთი ლალი მუსიკა... აბა, როგორ უნდა გავფრინდეთ ცაში, თუ არა – შობა, 25 დეკემბერი და შაქარყინული დატვირთული ვაჟა, რომელიც დიდ თონეში მოსწავლეებთან ჩადის, „ალუდა ქეთელაურს“ უკითხავს და ამაყად ელის ნიშნებს მოსწავლეებისგან...

ჰოდა, სწორედ ასეთი გაფრენა ვცადე ვაჟას დიდთონეთური ამბითა და ამ ამბავზე მოცარტის ზემოხსენებული სონატის მორგებით...

ფიქრობ, ვაჟასა და მოცარტის დუეტი ასეთი უნდა ყოფილიყო...

ესაუბრა ლალი ჯაბაძე

ინფორმაცია

უკრეცენდო მიღწევა საერთაშორისო ოლიმპიადებში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, მისიელ ბატიაშვილი, საერთაშორისო საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებულ მოსწავლეებსა და მათ პედაგოგებს შეხვდა, მაღლობა გადაუხადა მიღწეული შედეგებისთვის და მომავალი წარმატებები უსურვა.

„ჩვენი მოსწავლეებისთვის, რომლებიც საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობდნენ, წლებიანდელი წელი ყველაზე გამორჩეულია – 17 მედალი, რომელიც მათ მოიპოვეს, ისტორიულად, საქართველოს არასდროს ჰქონია. ვფიქრობ, ეს ჩვენი ნიჭიერი ბავშვების, ასევე მათი პედაგოგების დამსახურებაა.

ვაბაყობთ, რომ საქართველოს ამდენი ნიჭიერი ბავშვი ჰყავს. ეს ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან დიდი წარმატებაა! ჩვენი მოსწავლეებისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათთვის დიდიწილი საგანმანათლებლო ქალაქი შენდება, სადაც სამეცნიერო ლაბორატორიების განვითარებას უმნიშვნელოვანესი როლი მიენიჭება. თავისთავად, ეს მათ ხელს შეუწყობს, კიდევ უფრო მეტი მიღწევა ჰქონდეთ“ – განაცხადა მინისტრმა. ქართველი მოსწავლეების წარმატებაზე საუბრისას მან ნიკოლოზ ბირკაძის უნიკალურ შედეგზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა: „ძალიან გვიხარია, რომ ამდენი წარმატებული და ნიჭიერი ბავშვი იზრდება, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.“

მიმდინარე წელს სამინისტრომ მოსწავლეთა ნაკრები გუნდები მსოფლიო ოლიმპიადებზე ხუთ დისციპლინაში წარადგინა – მათემატიკა IMO 2019 (ბათი, გაერთიანებული სამეფო, ინფორმატიკა IOI 2019 (ბაქო, აზერბაიჯანი), ფიზიკა IPhO 2019 (თელ-ავივი, ისრაელი), ქიმია, 51-ე საერთაშორისო ოლიმპიადე

(პარიზი, საფრანგეთი) და ბიოლოგია IPhO 2019 (თელ-ავივი, ისრაელი), საიდანაც ისინი 1 ოქროს, 1 ვერცხლის, 15 ბრინჯაოს მედალთა და ორი საპატიო სიგელით დაბრუნდნენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კომაროვის სკოლის მეთორმეტეკლასელის, ნიკოლოზ ბირკაძის წარმატება, რომელმაც, წელს, ორ დისციპლინაში იასპარეზა და ოქროსა (ინფორმატიკა) და ვერცხლის (მათემატიკა) მედალების მფლობელი გახდა. გარდა ამ დიდი გამარჯვებისა, იგი ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადის დიდების დარბაზში შეიყვანეს. სიის ასეულში ნიკოლოზ ბირკაძე ერთადერთი ქართველია. ამ ტიტულის მფლობელები არიან ის მოსწავლეები, რომლებსაც ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადებზე ოქროს 2 მედალი აქვთ მოპოვებული, ნიკას ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადებზე ჯამში – 2 ოქროსა და 1 ვერცხლის მედალი აქვს მიღებული.

ნიკოლოზი ამბობს, რომ ეს წარმატება მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მომავალშიც დაეხმარება, მაგალითად, კარგ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაში. „ძალიან ვაბაყობ, ქვეყანა საერთაშორისო დონეზე რომ ვასახელებ.“

ორი ბრინჯაოს მედლის (ინფორმატიკა და მათემატიკა) მფლობელი წელს კიდევ ერთი კომაროველი – თეიმურაზ თორია გახდა.

ბოლო სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართველი მოსწავლეების შედეგები საერთაშორისო ოლიმპიადებზე. წლებიანდელი შედეგი კი – 17 მედალი, უპრეცედენტო რაოდენობაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

მოპოვებული ჯილდოების შესაბამისად, მოსწავლეები დაჯილდოვდნენ: ოქრო – 3000 ლარის ოდენობის, ვერცხლი –



2000, ბრინჯაო – 1000 და საპატიო სიგელი – 700 ლარის ოდენობის ფულადი პრიზებით.

საერთაშორისო საგნობრივი ოლიმპიადებისთვის საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მომზადება და შემდეგ, ოლიმპიადებში მონაწილეობა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სრული დაფინანსებითა და ორგანიზებით, „წარმატებულ მოსწავლეთა ნახალისების პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა.

გენადი მარგველაშვილი, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე: „ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა. მაღლობა მინდა გადავუხადო არა მხოლოდ მონაწილეებს, მოსწავლეებსა და მათ მასწავლებლებს, არამედ სამინისტროსაც იმისთვის, რომ ამაღლებს ახალგაზრდების მოტივაციას, განსაკუთრებულად წარმოაჩინოს ბავშვებს, რომლებმაც საქართველო ასახველეს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და დარწმუნებული ვარ, ეს წარმატებები მომავალშიც აუცილებლად იქნება. საქართველოს სჭირდება წარმატებული ფიზიკა-მათემატიკის, ქიმია-ბიოლოგიის და ინფორმატიკის მეცნიერები.“

ოლიმპიადის გამარჯვებული ანა ნებეირიძე ამბობს: „ნაკრებში რომ მოვმხდარიყავით, საკმაოდ ბევრი შრომა მოგვინია ყველას. რთული იყო, რადგან ამ ოლიმპიადას, თეორიული ნაწილის გარდა, პრაქტიკული ნაწილიც აქვს და ამიტომ მეცადინიობაც გვინებდა და ლაბორატორიაში მუშაობაც. ძალიან დიდი გამოცდილება მომცა ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადის მონაწილეობამ, რადგან ძალიან რთული დავალებები იყო და კონცენტრირება გეჭირებოდა, ასევე, საჭირო იყო თაიმ-მენეჯმენტის გათვლა, ამიტომ მიმაჩნია, რომ მომზადებული ვიქნები სხვა ნებისმიერი გამოცდილებისთვის. გარდა ამისა, ოლიმპიადებზე ძალიან ბევრ სხვადასხვა ადამიანს იცნობ, რაც მსოფლიოზე სხვაგვარ წარმოდგენას გიქმნის. მოხარული ვარ, ეს შანსი რომ მომიცა.“



გამარჯვებული ისა

ინტელექტისა და განათლების საერთაშორისო სკოლა (ISIE), ყოველწლიურად, ატარებს ესე-ების კონკურსს, რომელიც საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს განვითარდნენ პიროვნულად, ჰქონდეთ საკუთარი ნიჭის წარმოჩენის შესაძლებლობა, იმავდროულად, მიიღონ მხატვრულად წერის გამოცდილება. „ახალი განათლება“ წლიურად იტარებს კონკურსის ოფიციალური პარტნიორი იყო. მთავარჯიშებელთა ესეების კონკურსის 2019 წლის გამარჯვებულის, ლიკა ფაჩულიას ესე „სარკმელი პარალელურ სამყაროში“.

ლიკა ფაჩულია დაიბადა 1995 წლის 1 თებერვალს. 2017 წელს დაამთავრა ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი, მიენიჭა ბაკალავრის ხარისხი, შემდგომ სწავლა განაგრძო ტექნიკურ უნივერსიტეტში მაგისტრატურაზე, ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტზე. ამჟამად სწავლობს IT STEP აკადემიაში, ბრაზილია და ღირსების მასტერის განხრით. გავშვობიდან წერს ლექსებს, პატარ-პატარა მოთხრობებს, ჩანახატებს, მხატვრულ ესეებს. ჰქონდა გარკვეული პროფესიული პაუზა, მაგრამ ბოლო 2-3 წელია ისევ აქტიურად წერს. ამჟამად მზად აქვს წიგნი, რომლის რედაქტირებაზეც მუშაობს.

სარკმელი პარალელურ სამყაროში... სარკე

– აბა, გიყურებ! შემომხედე! მხედავ? – ოთახის სიბნელე ჩემი ხმის მსგავსაა ცივმა და უსიცოცხლო ხმამ გაჰყვება. უცებ ხმისაკენ შევტრიალდი და ჩემ წინ დავინახე ჩემი სახე, სახე, რომელიც სარკის სამყაროდან ცინიკურად მიმხერდა. შემაყრულია. ნეტა, რამდენად განსხვავდებით ერთმანეთისგან? თითქოს ერთი ადამიანის ორი სახე იყო იმ დღეს იქ: – როგორც იქნა, დამინახე! – მან ისევ დაიწყო საუბარი. ხმა კიდევ უფრო გაეყინა: – აბა, მოგწონვარ? – რამდენიმე წუთს სერიოზულად ვფიქრობდი რა მეპასუხა. ვეღარ მივხვდარიყავ, ეს სიზმარი იყო თუ რეალობა, რომელიც არ უნდა ყოფილიყო ამ ორიდან, ის ისეთი რეალური და სულსმომძვრელი იყო, რომ რაღაც მომენტში ადგილზე მივიყინე კიდევაც. ამ ფიქრებით ვართულობ ვიგრძენი, როგორ მიყურებდა სარკის სამყაროდან მეორე მე და მაკვირდებოდა. შიშნარევი მზერით გავეხედე და იმ წამსვე ვინანე – მან მხარედ გაიცინა და ამითვალისწინა: რას დაემსგავსე?! იმ წამსვე საკუთარი თავი შევთავალიერე: წესით, ყველაფერი ჩვეულებრივ მეცვა, არაფერი შემცვლოდა. გავბრაზდი: განა ის ჩემი ანარეკლი არ იყო?! განა ისიც ასე არ გამოიყურებოდა?! რა უფლებით იცინოდა ჩემზე?! გაბრაზებულმა ავხედე და სანამ რამეს ვეტყვოდი, მის მზერაში ის დავინახე, რაც ჩემს მზერაში ხშირად ჩნდებოდა. წამით ენა დამება. ეს დაცივდაც ხომ სიმბოლური იყო: განა გულის სიღრმეში ჩემი ქვეცნობიერი ასე არ დამცინოდა?! განა მის მზერაში დანახული ის უცნაური ნაპერკლები, ჩემი მზერის ნაწილი არ იყო?! შიში იმისა, რომ დროს უაზროდ ვხარჯავდი არ იმედგაცრუება ამ სამყაროსადმი. განა ამ მზერას თვითონაც არ ვხედავდი სარკეში? ...და მაინც, მისი სიცილი გულის დამწყვეტი იყო. იყო მასში რაღაც ისეთი, რაც ჩემს ვითომ მშვიდ სამყაროს ჯერ აზანზარებდა და ამ ზანზარით ანადგურებდა. უცბად სიცილი შეწყვიტა და დამელაპარაკა, დამელაპარაკა ისეთი ტონით, თითქოს მე ვიყავი მის წინაშე დამნაშავე.

გინდა, რომ მსგავსად ვიქცე მეც?! გინდა, რომ შენს უბადრუკ სამყაროში ჩამკეტო?! ნუთუ გგონია, რომ მოგცემ უფლებას მომკვცეო ფრთები, რომელსაც ამდენი საუკუნე ვიზრდები და ვუფრთხილდებოდი?! ნუთუ გგონია, რომ შენთან ერთად იმ ჭის ძირში დავრჩები, სადაც მხოლოდ ტალახია?! იმედია, არა გგონია, რომ ჩემი ცხოვრების გაღვივს უფლებას მოგცემ! – ყოველი მისი სიტყვა ნემსი იყო, გასროლილი ჩემი სულისკენ, მაგრამ ვიცოდი, რომ სიმართლეს იძახდა, სირცხვილით თავი დავხარე და ახედვას ვერ ვებედადი. მისი ისედაც გაბრაზებული ტონის კიდევ უფრო მძლავრი და შემადრწუნებელი ყვირილი გაისმა. ამ ხმამ მილიანად დამშალა, ის ნაწილიც დაამსხვრია, რაც დამრჩენოდა. შემომხედე-მეთქი! – დაიგრგვინა მისმა ხმამ. შიშით ავხედე – ის კი მართლ არ იდგა, მის უკან იყო ჩემთვის უცნობი სამყარო, რომელიც ცეცხლს და ყინულს ერთდროულად მოეცვა. უცბად გვერდზე გაიწია და, თითქოს, უფლებამ მომცა მისი სამყარო დამენახა. მერე ისევ წინ გადავადგობა და ცალი ხელით ცეცხლი აიღო, მეორეთი კი ყინული. მსგავსი მხოლოდ ფილმებში მენახა და არ ჰქონდა მნიშვნელობა, ეს ჩემი ფანტაზიის ნაწილი იყო თუ არა, რადგანაც ის ძალიან რეალური იყო. იმდენად რეალური, რომ ვიგრძენი როგორ გაიღვიძა რაღაც ძალიან ძველმა ჩემს სულში, როგორ მოედო ჩემს სხეულს ყინულის სიცივე და როგორ ააღდა ჩემი სული ცეცხლივით... შემინებულმა გავხედე, მაგრამ უნდა ვაღიარო, ეს შეგრძნებები სასიამოვნოც იყო: შეგრძნება იმისა, რომ შემეძლო ყველა დადებული ბოროტი დამედნო და წაცრად მექცია. მანაც გაიღვიძა, თითქოს იგრძნო, რასაც ვგრძნობდი.

დღეიდან ეს ჩვენი სამყაროა! მეყო შენი უბადრუკი ცხოვრება! – უცერად წინ წამოიწია და სარკის სამყაროდან ხელი გამოჰყო, დაფრთხი და უკან გავიწიე, მაგრამ უკვე გვიანი იყო, მას ჩემი ხელი ეპყრა: ამ წამიდან მე და შენ ერთნი ვართ! შენში ჩემი ჩაძინებული ცეცხლი იგიზგიზებს! – მისი ხელიდან ცეცხლი ჩემს ხელზე გადამოვიდა, ისევ შევფრთხი და გულმა გამაღებთ დამინყო ძველა. თავიდან ვიფიქრე, ეს შიში იყო. შიში იმისა, რომ ცეცხლი დამწყვდა, მაგრამ რამდენიმე წამში მივხვდი, რომ ეს სული სხმა იყო. იმ სულია, რომელსაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ეძინა. სულისა, რომელიც რატომღაც ციხეში გამოემწყვდია. ჩემს ხელზე ააღებული ცეცხლიდან მზერა ჩემს ანარეკლზე გადავიტანე, მისი მზერა კმაყოფილებით სავსე იყო. კმაყოფილებით, რომელიც მე არასოდეს ვანმეცავდა. კიდევ უფრო მიიწია და მის მზერაში ააღებული ცეცხლი დავინახე, ის ცეცხლი, რომელიც იმ წამიდან ჩემს მზერაში ინთებოდა და არ გვემავდა ჩაქრობას. გრძობ? – მკითხა კმაყოფილმა, მე კი სიტყვის თქმის უნარი დავკარგე. ვგრძნობდი, აბა, რა: რო-

გორ შეიძლებოდა არ გვეგრძნო მსგავსი?! მისი ცეცხლი სწრაფად ვრცელდებოდა ყველგან. ვგრძნობდი, როგორ ინთებოდა ახალი – ჩემთვისაც კი უცნობი კუნჭულები ჩემი სულისა, როგორ იღებოდა დახურული კარები, როგორ ვივსებოდი შეუცნობელი ძალით. ვგრძნობ... – ჩემთვის ჩავილაპარაკე და ვიგრძენი, როგორ წამსკდა ცრემლი, რომელიც სულის ცეცხლივით მღულარე იყო. მოგწონს? – ისევ მკითხა მან და მეორე ხელით დახრილი თავი ამაწვინა. პასუხის გაცემა არ დამჭირვებია, ის ისედაც ხვდებოდა ჩემს პასუხს. – ამიერიდან მზერა არასოდეს დახარო! – ისევ მკაცრი ხმით მითხრა, – არ დაგავინყდეს ჩვენ ერთნი ვართ! მე კი მზერას არასოდეს არ ვხრი, თავზე ხომ ზედმეტია საუბარი! – გაიცინა ადამიანურად, ისე როგორც მე ვიცინი ხოლმე იშვიათად, გავიფიქრე ნუთუ არის მასში რაღაც ჩემიც-მეთქი, – თავს მხოლოდ იმით ვუხრი, ვინც დიდი სულის პატრონად მიმაჩნია! – შემდეგ მეორე ხელი ნახად დამადო გულზე და ჩემი სხეული ყინულმა მოიცვა, ყინულმა, რომელსაც მეტალის ძარღვები მოჰყვებოდა ან, იქნებ, პირიქით იყო, ეს მეტალს მოჰყვებოდა ყინულის ძარღვები, თუმცა ამას არანაირი მნიშვნელობა არა ჰქონდა იმ წამს. მთავარი ის იყო, რომ ის ჩემს სხეულს სველიდა აგიზგიზებულ ცეცხლთან ერთად. ამიერიდან ჩემი სხეული გექნება: მკვრივი, ურყევი და უბედრეკელი! – ისევ ცივად ჩაილაპარაკა და მკაცრად შემომხედა. რომელიც არ უნდა ყოფილიყო – მეტალი თუ ყინული, ვიგრძენი როგორ გაიყინა ჩემი ვენები, როგორ სწრაფად დაიწყო სისხლმა ჩქეფა, რაღაცამ ხერხემალში გამძვრა და მიწაზე მყარად დამაგება, იმდენად მყარად, წამით მომეჩვენა, რომ ჩემს ქვევით სახლის იატაკიც კი გაიბზარა. ისევ უცნაური ძალის ცოცვა ვიგრძენი.

ოჰო! – უნებურად წამომცდა. თითქოს შიგნიდან სულმა მიბიძგა და ჩემი სახის წინაშე პირდაპირ აღმოვჩნდი. ახლა მისი მზერის მსგავსად ჩემი მზერაც კმაყოფილი იყო. ვგრძნობდი როგორ იღვიძებდა ჩაძინებული გენეტიკა და იღვრებოდა ჩემში, როგორ მევსებოდა ყოველი მოლეკულა სხეულში და ყოველი ნაწილი – სულში გაუთავებული, უძლიერესი ძალით, ენერგიით. მან ისევ გაიღვიძა: ახლა მომწონხარ! – მე გაურკვეველი მზერით შევხედე, მან კი უცბათვე დაამატა – ბევრად უფრო მგავხარ! – გავიფიქრე ამ ყველაფრის მერე დავიჩვენე კი იმად, ვინც ვიყავი თუ მთლიანად ჩემს მოპირდაპირედ მდგარ არსად ვიქცეოდი, მაგრამ სანამ ამ კითხვას გავაუღერებდი, ვიგრძენი ჩემი დაბეჩავებული სულის ხმა: ის მე ვარ... და ეს ჩვენ ვართ! – გამახსენდა ბავშვობა, როდესაც ჯერ კიდევ მისი ხმა მესმოდა ალაგ-ალაგ, ისევ გამეღვიძა და მივხვდი, რომ ეს იმ ბავშვის ჩემი ვერსია იყო, რომელიც საკუთარი ნება-სურვილით გამოვკვეთე: უაზრო კომპლექსებსა და ბორკილებში. შევხედე ჩემს თავს სარკეში და ისეთივე უცნაური ღიმილით გავიღვიძე, როგორც იმის მიღობოდა. რამდენი წელია შენს გამოჩენას ველო... – მეგონა ჩემთვის ჩავილაპარაკე, მაგრამ მივხვდი, რომ თვითუნებურად აღმოვხდა ეს სიტყვები ბავშვიდან. მაპატიე, დამავიანდა, ძნელი იყო შენამდე მოსვლა! – დამნაშავედ ვიგრძენი თავი. მასთან მივიწიე და, რამდენადც გასაცოცარი არ უნდა იყოს, სახეზე შევხედე, თითქვით მისი ყოველი კუნჭული შევიგრძენი და მწარედ გავიღვიძე. მაპატიე... გთხოვ, მაპატიო! – მან თბილად ჩაიღვიძა და შუბლზე შუბლი მომადო, ეს ჩემი საჩუქარი იქნება. მოულოდნელად ჩვენს ირგვლივ სამყარო დატრიალდა, არ ვიცი როგორ აღვწერო: ირგვლივ ყველაფერი შეიცვალა, თითქოს ის სამყარო გაიხსნა, რომელიც ან ჩემს გაუცნობიერებლად, ან სამყაროს სურვილით ჩემთვის ჩაკეტილიყო: ყველა ჩაკიდული კლიტული გაიხსნა, ყოველი სულის გასაღები დამენახა. ირგვლივ სამყაროს ხმა ჩამესმა. ჩამესმოდა ყოველი წინაპარის ხმა, რომელიც ჩემში საუკუნეებს მოეცნა. მესმოდა ბუნების საამური გალობა, რომელიც ხალხს დავიწყებოდა. სიმღერა, რომელიც კაცობრიობას დავიწყებოდა. ენა, რომელიც დროში დაკარგულიყო. მესმოდა სისხლის ხმა, რომელიც მინაში ჩაკარგულიყო და მისთვის დაღვრილიყო. მესმოდა გოდებისა და მწუხარი დედების იავნანისა, რომელიც ყველას დავიწყებოდა. ამ ქაოსში მისი ხმა გავიგე, რომელიც ამჯერად მშვენივრად მომეჩვენა. ის ჩემს წინ აღდა იდგა და არც მე ვიდექი მის წინ. ჩემს ირგვლივ სხვადასხვა ძველ ქართულ სამოსში გამოწყობილი ქალებისა და მამაკაცების წრე იდგა, ის მათ შორის იყო და მიღობოდა. ყოველ მათგანში საკუთარ სახეს ვხედავდი, სხვადასხვა საუკუნე, სხვადასხვა სახე. – ო, ღმერთო! – ისევ უნებურად წამცდა, მან კი ისევ გამეღვიძა და ჩემი აზრი დამიდასტურა. ისინი იყვნენ წინაპრები, რომელნიც ჩემში ცხოვრობდნენ. მინდოდა გამეღვიძა, მაგრამ ეს რთული იყო. სამაგიეროდ ჩემს მა-



გვირად ჩემში აგიზგიზებულმა ცეცხლმა გაუღვიძა მათ. იმ ღიმილით, რომელიც, როგორც ჩანს, მათთვის ბევრის მთქმელი იყო. ისევ დატრიალდა სამყარო. ჩემს წინ ისევ ის იდგა და მკაცრად იყურებოდა, მის უკან კი უკიდევანოდ დაუსრულებელი ადამიანთა თუ არსებობა არსები იყვნენ, ისინიც მისნაირად უცნაური მონწყენილობითა და უცნაური სიბრაზით იმზირებოდნენ. მისი კარნახი აღარ დამჭირვებია იმის გარკვევაში, რომ ეს სხვა ადამიანებში ჩაკეტილი მათი არსი იყო. თითქოს ცრემლიც კი მომერია, ამდენი არსის ციხე, ამდენი დამწყვედი სული და მარო, რომელიც რეალობაში არაფრისთვის იკარგება. ალბათ მათაც გაუღვიძებდი, მაგრამ ეს ჩემს სულსაც კი არ შეეძლო. ისევ მისკენ წავიწიე და ნახად ხელზე შევეხე, უმაღ ყოველი მათგანის ტკივილი ვიგრძენი და თავმეუკავებლად მუხლებზე აქვითინებული დავეცი. რა მწარე იყო მათი სული, მათი არსი ამ – არ არსებულ რეალობაში. რომ შემძლებოდა ჩემს ცეცხლს მათაც გაუღვიძებდი, მაგრამ მათ ჩემი არ სჭირდებოდათ, საკუთარი გააჩნდათ, რომელსაც წამოწებდა სჭირდებოდა. ვილაცამ წამომაცუნა, მასთან ერთად და მის გვერდით ჩემს წინ დადგა, მხარზე ხელი დამადო და შეძლებისდაგვარად გამიღვიძა, დაანახე მათაც! – ალბათ საჭირო იყო მეკითხა ვისთვის მენახებინა და რა – მაგრამ იმ მომენტში უფრო ბევრი ვიცოდი, ვიდრე ოდესმე ვიცოდი. კარგად ვიცოდი, მოხუცი რასაც მეუბნებოდა, ვიცოდი, რა უნდა მენახებინა და ვისთვის. მაგრამ ეს ისეთი ძნელი იყო, თუმცა ეს მე ვიყავი და ჩემს უკან ათასწლოვანი სიცოცხლის ხე იყო. გავიღვიძე და უსიტყვოდ დავეთანხმე. ისევ დატრიალდა სამყარო, ისევ მე და ის დავერჩით. ამჯერად ჩვენს გარდა არავინ იყო, მხოლოდ მის უკან აღმართული ხე იდგა ტრიალ მინდორზე, რომელიც ჭკნებოდა. ისევ ეს სველიანი მზერა და რამდენიმე სამყაროს მომცველი სიტყვა – მენდე, ჩვენ ერთნი ვართ! – ხელი ჩამკიდ და ხისაკენ წამიყვანა. ჯერ თვითონ შეხეო და რაღაც ჩაუღალაპარაკა, შემდეგ სულში რაღაც წამოწებოდა, ისევ ვიგრძენი, როგორ მინდოდა მას შევხებოდი, როგორ სჭირდებოდა მას ეს შეხება. ხეს ხელი მივადე და უხეში და დამჭკნარი ქერტი ვიგრძენი. აჰკარა იყო – კვდებოდა, რომ მისი არსი იკარგებოდა. არ ვიცი, რატომ, რისთვის, აღმოვჩნდი იმ ადგილას, იმ წუთას, მაგრამ ჩემმა სულმა იცოდა, რომ ხის მკურნალი იყო.

თავისუფალი ხელი მას ჩავკიდე და მტკიცედ შევხედე, მანაც მტკიცედ გამომხედა და ხელი მაგრად ჩამკიდა. ჯერ მინამ იწყო ნათება ალაგ-ალაგ, შემდეგ ეს სინათლე ხის ძველისძველ ფესვებზე გადავიდა და მასში სისხლივით დაიწყო კლაკენა, ნელ-ნელა ჩვენი ხელებიდან გადმოსულ სინათლეს შეუერთდა და ყველაფერი განათდა. ჩვენს შიგნით სული გიზგიზებდა იმ ძველისძველ ძალასთან ერთად, რომელიც ჩვენს ვენებში ჩქეფდა. ენახე როგორ დაიწყეს გამწვანება უკვე დამჭკნარმა ფოთლებმა, როგორ გაჩნდა მდელოზე ნიაყი, როგორ აყვავდა თვით ბალახიც კი. ეს განუთავრებელი შეგრძნება იყო. ჩვენს ირგვლივ სიცოცხლე ჩქეფდა. სიცოცხლე, რომელიც სიკვდილს მოეცვა ამდენი საუკუნე. ხეში ზუსტად ისეთივე ცეცხლი ჩქეფდა იმ ძალასთან ერთად, რომელიც ჩემს სხეულსა და სულში რამდენიმე წუთის წინ გაცოცხლდა. ბოლოს ვიგრძენი, როგორ აივსო ხე სიცოცხლით და ჩვენშიც ჰარმონია დამყარდა – ძველისძველ ძალასა და ახლად აგიზგიზებულ ცეცხლს შორის. მან ისევ გამიღვიძა და ისევ შუბლი მიმადო. ირგვლივ ისევ იგივე ხმები აირია, ირგვლივ საამური ღვთაებრივი გალობა გაისმა. მეც გავიღვიძე და ამ ხმებში ჩემი ხმაც ვიპოვე. როდესაც თვალი გავახილე, ისევ სარკის წინ ვიდექი, ოღონდ უკვე – მართლ. ჩვენ ერთნი ვიყავით – ის და მე! ვგრძნობდი, როგორ გიზგიზებდა ცეცხლი, როგორი მკვრივი იყო ჩემი სხეული და, რა თქმა უნდა, სიხარულით ვგრძნობდი მის საჩუქარს „გონის თვალს“. იმას, რამაც სამყარო მაპოვნინა. საკუთარ თავს ჩავხედე სარკეში და გულიანად გავიღვიძე. გონებაში მისი ხმა ჩამესმა – სიცოცხლის ხე ეს ჩვენ ვართ. ჩვენ ერთნი ვართ! – დავეთანხმე, რადგან ამას იმ წამს მივხვდი, როდესაც ხეს შევეხე. მისი ძალა და ჩვენი ძალა მსგავსი იყო, არა, ერთნი ვიყავით, ეს ჩვენ ვიყავით. გამახსენდა პირობა მოხუცისათვის მიცემული და სულზე ხელი დავიდე, ის კი უმაღ განათდა და მასთან ერთად ის ძლევაპოსილი, ათასწლოვანი ან კიდევ უფრო ძველი ძალაც ააღდა – ეს მე ვარ! – თავანუღმა შემოვძახე საკუთარ გამოსახულებას სარკეში და ის ძველისძველი გალობა წავიღვიძინე, რომელიც სხვისი სულებისთვის უნდა წამემღერა.

ლიკა ფაჩულია

გამოსვლით

მოტივაციის ახალი ტაქტიკა

მრავალი კვლევით დადასტურებულია, რომ მხოლოდ მაღალი მოტივაციის პირობებში შესაძლებელია მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევა. მოტივაცია ხომ სტიმულია, ქმედება, ნახალისება, ძალა, რომელიც იწვევს მოსწავლის სურვილს იმოქმედოს, ისწავლოს, მიაღწიოს შედეგს.

ხშირად ფიქრობენ იმაზე, რამ შეიძლება გააჩინოს მოსწავლეს მოტივაცია, დაინტერესოს და აქტიურად ჩართოს საგაკვეთილო პროცესში? ერთ-ერთი მთავარი პასუხია მიზნობრივად გათვლილი დიდაქტიკური თამაშები. თამაშის დროს ქცევის იმპულსი ფუნქციონალურია, ანუ ბავშვის ქცევას წარმართავს ფუნქციური სიახლოვება. ხშირად, დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ინტელექტუალური ფუნქციის ასამოქმედებლად, საგაკვეთილო პროცესის დროს, ეფექტურია თემაზე მორგებული დიდაქტიკური თამაშის გამოყენება. „დიდაქტიკური თამაში“ სწავლების ისეთი საშუალებაა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, სასწავლო ამოცანის შენიღბვის მეშვეობით, ბავშვი წინასწარი განზრახვის გარეშე დაეუფლოს ცოდნას.

სწორედ ამიტომ, დაწყებით კლასებში, საგაკვეთილო პროცესის დროს, ვცდილობ, რამდენიმე წუთი დავუთმო დიდაქტიკურ თამაშებს, რომელიც გამომდინარეობს თემიდან, ახალისებს და საინტერესოს ხდის საგაკვეთილო პროცესს. იმისათვის, რომ თამაში სახალისო, ეფექტური, მიზნობრივი იყოს, მასწავლებელმა აუცილებლად ეროვნული გეგმის სტანდარტიდან გამომდინარე უნდა შექმნას რესურსი, რომელიც უსაფრთხო, ესთეტიკურად ღირებული და მიზნობრივი იქნება.

მინდა, შემოგთავაზოთ მრავალჯერადი რესურსი, რომლის გამოყენებით შესაძლებელია, მოსწავლეებს გრამატიკული სახელების ამოცნობისა და კითხვების სწორად დასმის უნარჩვევა განუვითაროთ.

რესურსი: „გრამატიკული ბანქო“

მკვრივ ფერად ნაჭერზე დაკრებულია სამი დიდი ჯიბაკი, სახელების წარწერით: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, რომლებიც გაყოფილია ორ ტოლ ნაწილად. ერთ მხარეს დევს კითხვა, მეორე მხარეს მოსწავლეებს შესაბამის სახელს. სახელები დაკრულია ბანქოს ქაღალდებზე, რომელსაც ტექსტის შესაბამისად ვცვლით.

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის გათვალისწინებით: „მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, ქვემოთ ჩამოთვლილი ენობრივი საკითხები, ასევე ტერმინებისა და ცნებების სწავლება უნდა მიმდინარეობდეს პრაქტიკული აქტივობებით.“

რამ განაპირობა რესურსის „გრამატიკული ბანქო“ შექმნა: დაწყებით კლასებში მოსწავლეებს უჭირთ გრამატიკული სახელების გარჩევა, გააზრება და კითხვების დასმა. ასაკობრივი თავისებურებიდან გამომდინარე კი, ამ ასაკის მოსწავლეები ადვილად აღიქვამენ ვიზუალურ მასალას. კარგად ამახსოვრდებათ ის, რასაც ხედავენ, ეხებიან და აკეთებენ.

განსაკუთრებით საინტერესოა მათთვის დიდაქტიკური თამაშები, სწორედ ამიტომ გრამატიკული სახელების – არსებ-

ბითი, ზედსართავი და რიცხვითი – შესწავლის დროს, თემის აქტუალობიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, შემექმნა მცირე ზომის სასწავლო რესურსი, რომლის გამოყენებითაც მოსწავლეები, თამაშ-თამაშით, შეისწავლიდნენ გრამატიკულ სახელებს და კითხვების სწორად დასმას. მოსწავლეების მეხსიერებაში განსაკუთრებულად აისახება და რჩება ის აქტივობები, როცა თვითონ არიან მოქმედი პირები, ამ შემთხვევაში, თვითონ ამოიცნობენ სახელებს და ახარისხებენ შესაბამის ჯიბაკებში.

სტანდარტი: ქართ. IV.4. მოსწავლეს შეუძლია ენობრივ-გრამატიკული საშუალებების გამოყენება კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში.

• **სათანადო კონტექსტში სწორად ჩაანაცვლებს სახელებს (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი) და სვამს კითხვებს.**

სასწავლო რესურსი საინტერესო და სახალისოა, მოსწავლეებს უმაღლესს მოტივაციას და ინტერესს, ზრდის ჩართულობას, თამაშის ელემენტები ხელს უწყობს საკითხის უკეთ გააზრებას. რესურსი „გრამატიკული ბანქო“, ამ ასაკის მოსწავლეებისათვის, მიზნობრივი რესურსია.

დაგზავნაში მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული

მოსწავლეები თავად ამზადებენ ბარათებს. პროცესი სახალისოა!



რესურსის აღწერა (გამოყენების ინსტრუქცია)

მყარ ფერად ქსოვილზე დაკრებულია სამი ჯიბაკი.

1. ჯიბაკი არსებითი სახელი;
2. ჯიბაკი ზედსართავი სახელი;
3. ჯიბაკი რიცხვითი სახელი.



ბითი, ზედსართავი და რიცხვითი – შესწავლის დროს, თემის აქტუალობიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, შემექმნა მცირე ზომის სასწავლო რესურსი, რომლის გამოყენებითაც მოსწავლეები, თამაშ-თამაშით, შეისწავლიდნენ გრამატიკულ სახელებს და კითხვების სწორად დასმას. მოსწავლეების მეხსიერებაში განსაკუთრებულად აისახება და რჩება ის აქტივობები, როცა თვითონ არიან მოქმედი პირები, ამ შემთხვევაში, თვითონ ამოიცნობენ სახელებს და ახარისხებენ შესაბამის ჯიბაკებში.

ბანქოზე ეწერა: არსებითი სახელები (დაფა, კატა, მერხი, ქვა, გოგონა, კალამი და სხვა); ზედსართავი სახელები (დიდი, ციციქა, წითელი, მწარე, მოკლე, ფერადი და სხვა); რიცხვითი სახელები (ორი, ათი, ნახევარი, ბევრი, ასი და სხვა). სახელებს ხშირად ვცვლიდით, ძირითადად, ვინერდით შესასწავლო ტექსტიდან, რაც ტექსტის გააზრებაშიც გვინდებოდა ხელს.

კლასი იყოფა ჯგუფებად. თამაშს სჭირდება: ექსპერტი, რომელიც ამოწმებს შესრულებული სამუშაოს სისწორეს; უიური, რომელიც აფასებს ჯგუფის მუშაობას; მწერალი, რომელიც აღრიცხავს შესაბამის შედეგებს.

თამაში სახალისო, ეფექტური და შედეგიანია. ამაღლებს მოტივაციას და მთელი კლასი ჩართულია საგაკვეთილო პროცესში.



მაგიდაზე გაშლილია ბანქო. ჯგუფის ყოველი წევრი, რიგ-რიგობით, იღებს ბანქოს, ჩუმად კითხულობს და დებს შესაბამის ჯიბაკში. თუ კარგად გაიაზრებენ, არ უნდა გაუჭირდეთ, რადგან ჯიბაკის ერთ მხარეს კითხვა დევს. თამაში სახალისო და საინტერესოა, ამაღლებს მოტივაციას, ჩართულობას და საკითხის გაგება-გააზრებას.

შედეგი

რესურსმა „გრამატიკული ბანქო“ მოსწავლეებში აამაღლა მოტივაცია, ჩართულობა და ხელი შეუწყო მასალის გაგება-გააზრებას.

ჩემ მიერ შექმნილი მცირე ზომის სასწავლო რესურსის დადებით მხარედ ითვლება ისიც, რომ მას მრავალჯერადი გამოყენებისა და მოდიფიცირების საშუალება აქვს. შესაძლებელია მისი გამოყენება როგორც დაწყებითი საფეხურის მშობლიური ენის გაკვეთილზე, ასევე საბაზო საფეხურის მშობლიური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზეც.

ლილია ქათამაძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ციხისძირის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

ინფორმაცია

მასწავლებლის დღე საზეიმოდ აღინიშნა

დაუფინყარი დღე იყო 2019 წლის 6 ოქტომბერი სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისათვის, რადგან ამ დღეს გაიმართა, უკვე ტრადიციად დამკვიდრებული, მასწავლებელთა სასკოლო კონფერენცია, რომელიც განათლების საერთაშორისო აკადემიისა და ჩვენი სკოლის ორგანიზებით (დირექტორი – ფაქიზო ფანჯულიძე-კუჭავაძე) შედგა. კონფერენციის სლოგანი იყო ჯონ კოტონ დანას ცნობილი სიტყვები: „თუ შე-დავ სწავლებას, თავადაც არასდროს შეწყვიტო სწავლა“.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სკოლის დირექტორმა. ქალბატონმა ფაქიზომ აღნიშნა: „უკვე მესამე წელია, სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული დღის აღსანიშნავად, ტარდება მასწავლებელთა კონფერენცია, რომელიც ცხლად მასწავლებელთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობის, სასწავლო პროცესში დანერგული წარმატებული პრაქტიკის ურთიერთგაცნობა საუკეთესო გზა და საშუალებაა მასწავლებელთა პროფესიული ზრდისთვის.“

დამსწრე პედაგოგებს სიტყვით მიმართეს განათლების აკადემიის დამფუძნებლებმა – მარი გეთიაშვილმა და ნინო მწარიაშვილმა, ასევე საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (SEU) რექტორის თანაშემწემ, ხათუნა გაბიციანაშვილმა, რომელმაც დამსწრეთ უნივერსიტეტში არსებული სერვისები გააცნო.

კონფერენციის საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული 80-მდე პედაგოგი ესრებოდა. თამარ ფაჩულიამ, ლელა ჩირგაძემ, ნათია თევდორაძემ, ინგა დარსაველიძემ, აზნა ნაფეტვარიძემ, ლანა ჩიხლაძემ, ინგა არაბიძემ, ცისანა ქვრივიშვილმა, კატო კაკულიამ, რუსუდან არზიანმა, იამზე წულუკიძემ თავიანთი წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის შესახებ საინტერესო პრეზენტაციები წარმოადგინეს.

სტუმრებს შორის იყო მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს პირველი მფლობელი ლადო აფხაზავა, რომელმაც დამსწრე პედაგოგებისათვის საინტერესო მასტერკლასი ჩაატარა.

პენსიონერი პედაგოგები, რომლებმაც მთავრობის მიერ დაწესებული ჯილდო მიიღეს, სკოლის დირექციამ საპატიო სიგელებითა და მოსწავლეთა მიერ შრომითი უნარების გაკვეთილებზე დამზადებული თეძის ნამუშევრებით დააჯილდოვა. ბოლოს, კონფერენციის თითოეულ მონაწილესა და დამსწრე პედაგოგს, აქტიური ჩართულობისათვის, სერტიფიკატები გადაეცათ. აღნიშნული დღე კიდევ ერთ დაუფინყარ მოგონებად ჩაინერგა სკოლის ისტორიაში.

დალი სილაგაძე

სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე



სოციალური პროექტი

ჩვენი ტყე ჩვენი მომავალია

გლოლის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი „მოვი“, რომელიც მონაწილეობს ნიკო კეცხოველის სასკოლო პროექტში 2020-ში. წელს პროექტის მთავარი თემა – თანამშრომლობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, რისთვისაც ეკოკლუბებმა უნდა დაგეგმონ და განახორციელონ აქტივობები და ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მდგრადი განვითარების მიზნებს. შესაბამისად, ეკოკლუბმა „მოვი“ განახორციელა სოციალური პროექტი „ჩვენი ტყე ჩვენი მომავალია“. პროექტი მონაწილეობდა და ხე-ტყის

დამუშავების ნებართვა გასცა რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სატყეო სამმართველომ, ხოლო ნებართვისა და ტრანსპორტირების თანხა გამოყო სასტუმრო „სანსეტ მოვა“. შემის ტრანსპორტირებასა და დამუშავებაში მონაწილეობდა სოფლის მოხალისე ახალგაზრდობა. პროექტის მიმდინარეობისას, არაერთი აქტივობა განხორციელდა:

- მოსწავლეებში და თემში ტყის მოვლა-პატრონობის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლებისთვის, მოენციო შეხვედრები მეტყვევებთან;
- საკურორტო ზონაში ტყე დასუფთავდა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ხეებისგან;
- ამ შემთხვევაში, სოფელში მცხოვრები მოხუცები და სპეციალური საჭიროების მქონე პირები მომარაგდნენ.

ეკოკლუბის წევრები მადლობას ვუხდით ყველას, ვინც გვერდში დაგვიდგა პროექტის მიმდინარეობისას და მის წარმატებით დასრულებაში დაგვეხმარა. მსგავსი აქტივობები, ეკოკლუბის მიერ, მომავალშიც განხორციელდება. პროექტი ხელს შეუწყობს ეკოსისტემების დაცვას, ტყეების გონივრულ მართვა-მომხმარებას, წარმოებას და თანამშრომლობას მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.



ლელა ზაძარია სსიპ ონის მუნიციპალიტეტის გლოლის საჯარო სკოლა

სწავლების მეთოდი

მოხილური ტელეფონების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში

თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში ბევრი მასწავლებელი გამოთქვამს ნუხილს მოსწავლეთა მხრიდან მოხილურების „უფუნქციო“ გამოყენებასთან დაკავშირებით, მათ შორის გაკვეთილზეც. ჩვენ გვინდა თუ არ გვინდა, მოსწავლეებს მაინც და აქვე მოხილური მოწყობილობები ჯობით ან ჩანათ. ამიტომ მოსწავლეებს საშუალება მივცით, მოხილური ტელეფონებით ჩართულიყვნენ სასწავლო პროცესში. მათ საგანმანათლებლო ტექნოლოგია Pollevywhere გავაცანი, რომელიც წარმოადგენს პლატფორმას, სადაც მომხმარებელს შეუძლია შექმნას ინტერაქტიული აქტივობები მოსწავლეთა ჩართულობის გასაზრდელად სწავლა-სწავლების პროცესში. პლატფორმის საშუალებით, გაკვეთილზე შესაძლებელია გამოვიყენოთ ინტერაქტიული დახურული და ღია ტესტი, ასევე სიტყვათა ღრუბელი, არჩევითობა-ლოინი დავალებები; წაკითხული ტექსტის გააზრებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც ქვეშარტი/მცდარი დავალებები, კიდევ სხვა საინტერესო და მიმზიდველი აქტივობები, რომლებიც ურთიერთშეფასებასა და უკუკავშირის მიწოდებას ბევრად ამარტივებს. ამ აქტივობაში მოსწავლეები ძალიან სწრაფად ერთვებიან საიტზე pollv.com, წინასწარი დარეგისტრირების გარეშე, სპეციალური კოდის საშუალებით. მასწავლებლის მიერ, გრაფიკული გამოსახულების სახით, შედგენილი კითხვები ეკრანზეც ჩნდება და მოსწავლეებსაც გამოუჩნდება ტელეფონში. ისინი ირჩევენ სასურველ პასუხს, რაც ჩნდება ეკრანზე და მასწავლებელს ძალიან იოლად შეუძლია დაადგინოს, კლასის რამდენმა პროცენტმა გაიგო სწორად ახსნილი მასალა. მოგვიანებით კი, შეუძლია დეტალურად ნახოს მოსწავლეთა აქტივობის მონაცემები და გააანალიზოს უკუკავშირისათვის. აღნიშნული ტექნოლოგია სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს, ამაღლებს მოტივაციას და ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას. საგაკვეთილო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უკეთ შეგვიძლია მივალნით გაკვეთილის მიზანს და გაცილებით მარტივად, ზედმეტი ძალისხმევით გარეშე, მივანდობთ მოსწავლეებს უკუკავშირით და გავიდეთ სასურველ შედეგზე.

• ასევე, შეძლებოდათ როლური თამაშები, ძირითადი საკვანძო სიტყვების, ფრაზების და some/any-ის გამოყენებით.

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:

უცხ.ს.10. მოსწავლეს შეუძლია ყოფითი ხასიათის ინფორმაციული ტექსტის წაკითხვა და გაგება.

უცხ.ს.18. მოსწავლეს შეუძლია ნიმუშის მიხედვით მარტივი, ყოფითი ხასიათის ინფორმაციული ტექსტების (კატალოგის, მენიუს, კულინარიული რეცეპტის) შედგენა.

უცხ.ს.122. მოსწავლე ფლობს ელემენტარულ ფონოლოგიურ უნარ-ჩვევებს.

უცხ.ს.123. მოსწავლეს შეუძლია მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა.

უცხ.ს.131. მოსწავლე ფლობს სტრატეგიულ უნარებს წარმატებული სწავლის უზრუნველსაყოფად.

უცხ.ს.132. მოსწავლეს შეუძლია რესურსების გამოყენება სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით.

უცხ.ს.134. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სტრატეგიებს გრამატიკის ათვისების გასაადვილებლად.

აქტივობა 1.1 ნინარე ცოდნის გასწავლა კითხვა-პასუხით. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ საჭმელთან დაკავშირებული სიტყვები და ჩამოწერს დაფაზე ასოციაციური რუკის ირგვლივ. შემდეგ სთხოვს, დააჯგუფონ თვლად და უთვლად არსებით სახელებად.

– What words do you remember around food?
– Which are countable and uncountable?

აქტივობა 1.2 მასწავლებელი, ინტერესის აღსაძვრელად, ეკრანზე აჩვენებს გემრიელ პიცას და ეკითხება მოსწავლეებს: What toppings (or ingredients) can you have for delicious pizza? (possible answers: ketchup, mayonnaise, cheese, onion, ham etc). შესაძლო პასუხებია: კეჩუპი, მაიონეზი, ყველი, ხახვი, შაშხი და ა.შ. შემდეგ მასწავლებელი ავალეს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში მოცემულ ფოტოს (გვ.102) და დაასახელონ თუ რა საჭმელებს ხედავენ? What food can you see in the photo? რის შემდეგაც ძნელი არაა, ივარაუდონ თუ რა იქნება დიალოგის თემა. ამ ორივე აქტივობისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ ე.წ. word cloud – სიტყვათა ღრუბელი. პლატფორმის საშუალებით, ეკრანზე გრაფიკული გამოსახულების სახით გამოსული ნებისმიერი კითხვა მოსწავლეებს ტელეფონშიც უჩნდებათ. მაგ., what toppings (or ingredients) can you have for delicious pizza – რა ინგრედიენტებს იყენებთ გემრიელი პიცისთვის? ისინი ტელეფონებში წერენ იმ სიტყვას, რაც, მათი აზრით, ძალიან უხდება პიცას. მათი პასუხები კი ჩნდება ეკრანზე და ის სიტყვა, ანუ ინგრედიენტი, რომელიც განმეორდა პასუხებში, გაზრდილი შრიფტით ჩნდება ეკრანზე.

აქტივობა 2.1 სიტყვების დამუშავება. მასწავლებელი აჩვენებს სიტყვების სლაიდს, რომელიც ალბულის დიალოგიდან. მოსწავლეებმა ისინი, თავიანთი მნიშვნელობების მიხედვით, შესაბამის ნინადადებაში შეპირად უნდა ჩასვან, შემდეგ აჩვენებს სწორ პასუხებს, რომელსაც იმეორებენ ხმამაღლა. ბოლოს დამალავს სლაიდს და მოხალისეებს სთხოვს, გაიმეორონ სლაიდზე ჩამოწერილი ყველა სიტყვა.

აქტივობა 2.2 მასწავლებელი ასწავლის როგორ წარმოთქვან სწორად would და ამეორებინებს მის შემოკლებულ ვარიანტს ‘d. ეკითხება, კიდევ რა სიტყვები ახსენდებათ მსგავსი წარმოთქმით. მაგ.: could, should. ასწავლის ფრაზებს Would you like...? What would you like...? I'd like... etc. და სთხოვს ორივე ნინადადების შედგენას ნასწავლი ფრაზების გამოყენებით.

აქტივობა 2.3 მასწავლებელი ავალეს, დიალოგში მოქმედონ ნინადადებები, სადაც some/any არის გამოყენებული და დააკვირდნენ მათ შორის სხვაობას. შემდეგ აჩვენებს სლაიდს, მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები აგებენ წესებს, პოულობენ განსხვავებას მათ შორის (some – გამოიყენება მტკიცებით ნინადადებაში და შეთავაზებისას კითხვით ფორმაშიც, მაგ., Would you like some tea? ხოლო any – გამოიყენება კითხვითა და უარყოფით ფორმებში. ორივე კი გამოიყენება „ცოტაოდნის, რამდენიმეს ან ზოგიერთის“ მნიშვნელობით როგორც თვლად, ისე უთვლად არსებით სახელებთან).

აქტივობა 2.4 დიალოგის დასწავლა გაკრებით. მასწავლებელი ეკრანზე აჩვენებს სახელმძღვანელოში მოცემულ, ჭამასთან დაკავშირებულ, დიალოგს (გვ.102), რომელიც მეგობრებს შორის მიმდინარეობს. კლასს, შემთხვევითობის პრინციპით, სამ ჯგუფად ყოფს. ერთი ჯგუფი არის Pierre, მეორე – Diana, ხოლო მესამე – Ruby. 2-ჯერ ხმამაღლა კითხულობენ თავიანთ როლებს. მომდევნო ეტაპზე, მასწავლებელი წაშლის დიალოგის გარკვეულ მონაკვეთს ეკრანიდან. მოსწავლეებმა, თავიანთი როლების მიხედვით, მეხსიერებაში უნდა აღადგინონ წაშლილი ტექსტი. მასწავლებელი აკვირდება ჯგუფებს, აკეთებს ჩანიშვნებს და, შეცდომების შემთხვევაში, შესწორებისკენ მოუწოდებს. საბოლოოდ, მასწავლებელი მთლიან დიალოგს გააუჩინარებს და მოსწავლეებმა იგი სრულად უნდა აღადგინონ. ამ მეთოდით ისინი მარტივად სწავლობენ დიალოგს და თამამად, გაბეჭდილად საუბრასაც ეჩვენებიან.

აქტივობა 2.5 მასწავლებელი ავალეს თითოეულ ჯგუფს, გაითამაშონ როლური თამაში ოფიციალტსა და კლიენტებს შორის. ოფიციალტობის მსურველებს სთხოვს, მიესალმონ და გაუღიმიონ კლიენტებს. მეტი სითამამისთვის მასწავლებელი ურჩევს მენიუს დაფებს, სადაც ოფიციალტი მოსწავლე ფლომასტერით ჩამოწერს კლიენტისგან მიღებულ შეკვეთებს. ბოლოს მასწავლებელი ჯგუფებს კონსტრუქციულ უკუკავშირის ანოდებს.

აქტივობა 3.1 გაკვეთილზე მოხილური მოწყობილობების გამოყენება. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს მოხილურების გამოყენებას საგანმანათლებლო ტექნოლოგიის Pollev.com-ზე შესასვლელად. პლატფორმის საშუალებით, გაკვეთილის ბოლოს, მასწავლებელი იყენებს ინტერაქტიულ დახურულ ტესტს, რომელიც შედგენილია გაკვეთილის ირგვლივ, ასევე გამოყენებული სიტყვათა ღრუბელი (საკვანძო სიტყვებისა და ფრაზებისათვის), მაგ., მასწავლებელი უგზავნის კითხვას – What are the key words and phrases of the lesson? უნდა დაასახელონ გაკვეთილის საკვანძო სიტყვები და ფრაზები. მოსწავლეები მოხილურ ტელეფონებში წერენ გაკვეთილზე ნასწავლ სიტყვებსა და ფრაზებს. მასწავლებელი აკვირდება ეკრანს და იგებს, კლასის რამდენმა პროცენტმა უპასუხა სწორად, რაც ბევრად უმარტივებს ურთიერთშეფასებასა და უკუკავშირის მიწოდებას. მოგვიანებით, შეუძლია დეტალურად ნახოს მოსწავლეთა აქტივობის მონაცემები და მართებული ანალიზი გააკეთოს უკუკავშირისათვის. დასასრულს, მასწავლებელი აჩვენებს და უგზავნის სმაილიკებს შეკითხვით – How do you feel at the end of this lesson? ისინი ისრით ნიშნავენ სასურველ სმაილიკს, რომელიც ფიქსირდება ეკრანზე. პლატფორმის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ, ზოგჯერ, შედარებით სუსტი მოსწავლეები, ჯერ ეკრანზე უყურებენ პასუხს და შემდეგ თავიანთ მოხილურში სხვის მიერ მონიშნულ პასუხს ირჩევენ, თუმცა ამის აღმოფხვრაც მარტივად შეიძლება, თუ დაავალბთ, რომ პასუხები ეკრანისგან ზურგშექცევით აირჩიონ და შემდეგ შემოტრიალდნენ.

ამრიგად, ჩატარებული გაკვეთილი ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, წარმატებული სწავლის უზრუნველსაყოფად სტრატეგიული უნარების განვითარებას, ისტის ინტეგრირებით თვითშეფასებისა და სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობას და რაც მთავარია, დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევების ამაღლებას.

ირინა ბრუნჯაძე
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ყოროლისთავის საჯარო სკოლის ინგლისური ენის ნამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ესგ-ს სტანდარტი, მოქმედი ვერსია;
2. უორნალი „მასწავლებელი“ №1, 2016. გვ.46;
3. Judi Garton-Sprenger and Philip Prowse, New inspiration 1, (Student's book). Page 102;
4. www.Pollevywhere.com

აღიარებულია, რომ სწავლების სხვადასხვა სტრატეგია, კლასის ორგანიზების ფორმები და გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობები სწავლის შედეგზე დიდ გავლენას ახდენს. მაგრამ ხშირად უპასუხოდ რჩება მთავარი კითხვა: როგორ გავიგოთ სწავლობენ თუ არა მოსწავლეები იმას, რაც ჩვენ დაგეგმეთ? ამის გასარკვევად მასწავლებელი შეფასებას ეყრდნობა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები პროფესიული დროის მესამედს შეფასებისთვის ხარჯავენ. მიუხედავად ამისა, მრავალი შედაგისთვის შეფასება მაინც აქილევსის ქუსლად რჩება. პრაქტიკა და უკუკავშირით ეფექტური სწავლების აუცილებელი კომპონენტებია და საკლასო დავალებები, ქვიზები, ტესტები და ალტერნატიული შეფასებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, საკუთარი გაგების დემონსტრირება მოახდინონ და მიიღონ მასწავლებლის კომენტარი. ზემოთ ხსენებული პლატფორმა საუკეთესო საშუალებაა მოკლე დროში მიწოდებული ეფექტური უკუკავშირისათვის არა მხოლოდ მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, არამედ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, იქნება ეს მშობელი თუ სკოლის ადმინისტრაცია.

გთავაზობთ VII კლასში ჩატარებული ინგლისური ენის გაკვეთილის გეგმას, სადაც აღნიშნული პლატფორმა გამოყენებულია მხოლოდ გაკვეთილის ბოლოს, თუმცა ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყოველ ეტაპზე, მაგრამ არა ყოველდღიურად.

გაკვეთილის ტიპი – ინოვაციური
თემა – I'd like a cold drink. Making and accepting/declining offers. Some/any.

მიზანი:
• მოსწავლეებს ესარგებლათ მოხილურებით საგანმანათლებლო ტექნოლოგიის pollevywhere-ის სწავლა-სწავლების პროცესში გამოსაყენებლად;

• გაბედულად ესაუბრათ მენიუზე, საჭმლის შეკვეთებზე ყოველდღიურ სიტუაციაში ე.ი. მოეხერხებინათ თეორიული ცოდნის ტრანსფერი პრაქტიკულ საქმიანობაში;

თვალსაზრისი

ხელოვნება ადამიანის სხოვრებაში, ანუ ადამიანი ხელოვნებაში

ხელოვნება, ნიჭიერი ადამიანის მიერ სამყაროს შემოქმედებითი აღქმაა. ამ აღქმის ნაყოფი ეკუთვნის არა მის შემქმნელს, არამედ დედამიწაზე მცხოვრებ კაცობრიობას. ესაა უკუდავი შემოქმედება ძველ ბერძენ მოქანდაკეთა და არქიტექტორთა, უნიკალური ქართული ჩუქურთმა, მოზაიკა, ფლორენციელ ოსტატთა ფერწერა, მიქელანჯელოს ნაძერწი ქვა.

ხელოვნება საყოველთაოა, არ აქვს დრო, საზღვრები, ენა, ეროვნება, სქესი და მხოლოდ ემოციის ჯაჭვით გადაეცემა ერთიდან მეორეს. სუნთქვა გეგვრის, როდესაც ცდილობ გონებით ჩანვდე გენიოსების მიერ შექმნილს, მემკვიდრეებისა და მიმდევრების მიერ შენახულსა და გაგრძელებულს. სად და რა დროშიც უნდა ეცხოვრა ადამიანს, სამყაროს განვითარების განვითარებას, ესწრაფვოდა მანამდე განუცდელი და ამოუხსნელი ჩანვდომასა და გაგებას. ადამიანი ყოველთვის ცდილობდა, მიღებული ცოდნა შემდგომი თაობებისათვის გადაეცა. ასე წარმოიშვა კედლის მხატვრობები კატაკომბებში (გამოქვაბულებში) – ადამიანთა ძველ სადგომებში, ხელოვნების ეს ნაწარმოებები იქმნებოდა ჰარმონიულობისა და სილამაზის, ბუნების სრულყოფილებით მიღებული ემოციების გადმოსაცემად და გასაზიარებლად.

კითხვა, თუ რა როლს თამაშობს ხელოვნება ადამიანის ცხოვრებაში, ისევე ძველია, როგორც პირველი მცდელობები მისი თეორიული გააზრებისა და მაინც, როგორ ზემოქმედებს ადამიანზე ხელოვნების თავბრუდამხვევი სამყარო? ჯერ კიდევ ანტიკური ესთეტიკა ცდილობდა პასუხი გაეცა

ამ კითხვისათვის. კაცობრიობა არ ტკეპნიდა ერთ ადგილს, ის თანდათანობით მიიწვედა წინ და მალა, ასევე ვითარდებოდა ხელოვნებაც, იყო ადამიანის თანმხლები ყველა ეტაპზე. ხელოვნება რეალობიდან მომდინარეობს, ამავდროულად, ირეალურ სულს ისხამს. სწორედ რეალობის მიბაძვა აყარებს ხელოვნების შესაძლებლობებს და ადამიანზე მორალურ და ესთეტიკურ გავლენას ახდენს, მოქმედებს მისი გრძობების, ხასიათის ფორმირებაზე. კულტურის ისტორიამ შემოინახა ბევრი შემთხვევა, თუ როგორ იმოქმედა ხელოვნების აღქმამ ადამიანის ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე, დადებით იმპულსზე, ცხოვრების წესისა და ტიპის კონფიგურაციაზე.

ალორმინების ეპოქა ალაფრთოვანებს თავისი სიმალეებით, რომელსაც მხატვრებმა და არქიტექტორებმა მიადნეს. რაფაელისა და ლეონარდო და ვინჩის უკუდავი ქმნილებები დღემდე ატყვევებს მნახველს სრულყოფილებით, პლასტიკურობით, კაცობრიობის როლისა და დანიშნულების ღრმა გააზრებით. ჩვენ ვცდილობთ გავუგოთ, მივუახლოვდეთ გენიოსების მიერ დანახულ სამყაროს.

ხელოვნება ყოფიერების საზომი ერთეულია. ადამიანი განიცდის იმდენ ნათელ, ღამაზ და დაუფიქრარ მომენტებს, რომ ისინი საშუალოდ ილექება მის მესხიერებაში. საბუნდოვოდ, დედამიწაზე არსებობს ისეთი „ფუნჯები“, რომლებიც ფერად საღებავებზე უკეთესად აფერადებენ სამწუხარო მომენტებს, ერთ-ერთ ასეთ „ფუნჯს“ წარმოადგენს ხელოვნება.

შედეგები იქმნება მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი ნამდ-

ვილად ხსნის თავის გულს და ფერებით გადმოსცემს ემოციასა და გრძობას ისევე, როგორც გრძობს ღამეს ვინსენტ ვან გოგი, სივრცეს – კლოდ მონე. ამგვარად, ხელოვნების ნაწარმოების აღქმის უნარი გემოვნების ზრდით ვლინდება. ასეთი მინი-ლექციები, ფილმების ყურება, კლასიკოსი მხატვრების შემოქმედებაზე, სათანადო ლიტერატურის მიწოდებით, რაც ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში ხანგრძლივი მოღვაწეობით, დაკვირვებით შევიშუავე და დაგვირგე, მეხმარება, რომ მოსწავლეებს გავუღვივო ინტერესი ხელოვნების მიმართ. ჩემი მიზანია, აღიზარდოს მშვენიერების კარგი აღმქმელი, გემოვნებიანი ხელოვნების მოსიყვარულე და რეალობის ესთეტიკური გააზრების შემძლე პიროვნება. სწორედ პედაგოგებმა უნდა მოვახერხოთ სკოლაში ხელოვნების მაქსიმალური პოპულარიზაცია, რათა მოსწავლეებში საგნის მიმართ უფრო მაღალი ინტერესი გაჩნდეს.

ირინე ლლონტი

სსიპ ბათუმის მე-17 საჯარო სკოლის ხელოვნების უფროსი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

- იპოლიტ ტენი (1990) – ხელოვნების ფილოსოფია თბ. საქართველო;
- კუპრავა ნოდარ (1967) – ხელოვნების ეთიკური ღირებულება თბ. საქართველო;
- ნუცუბიძე მალვა (1974) – ხელოვნების თეორია თბ. მეცნიერება.

ახალი ახვაბი

ფულბრაიტის ახალი სასტიკენდო პროგრამები



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, გიორგი ვაშაკიძემ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელთან, გაცვლითი პროგრამების სპეციალისტთან, მელისა სოკოლისთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ აშშ საელჩოს წარმომადგენლები საქართველოში – საზოგადოებრივ საქმეთა მრჩეველი კეტრინ შვაიციერი, გაცვლითი პროგრამების კოორდინატორები – თეა კუჭუხიძე და ირაკლი მალანია.

გიორგი ვაშაკიძემ სტუმრებს განათლების რეფორმის ფარგლებში, უმაღლესი განათლების მიმართულებით, მიმდინარე ცვლილებები და ხარისხის განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით უკვე მიღწეული შედეგები გააცნო.

შეხვედრაზე საუბარი ფულბრაიტის სასტიკენდო პროგრამებს შეეხო, რომელთა განხორციელებასაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი სამომავლოდ გეგმავს. პროგრამები სხვადასხვა მიმართულებით განხორციელდება და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და სასწავლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციისაკენ იქნება მიმართული. ამოქმედდება მოკლე და გრძელვადიანი გაცვლითი პროგრამები, რომლებიც უმაღლესი საგანმანათლებლო და-

წესებულებების როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალისათვის იქნება განკუთვნილი.

გარდა ამისა, დაგეგმილია საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოებაც, კერძოდ, ინგლისური ენის სწავლების პროგრამებისა და ტრენინგ-კურსების განხორციელება, აშშ-ს განათლების სისტემის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

გიორგი ვაშაკიძემ ხაზი გაუსვა, რომ ფულბრაიტი შეერთებული შტატების მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული, მაღალი საერთაშორისო რეპუტაციის მქონე პროგრამაა და მზადყოფნა გამოთქვა, მომავალი თანამშრომლობისთვის, პროგრამებში ქართული მხარის ჩართულობის ფორმატის განსაზღვრის მიზნით.

პერსონალური კომპიუტერებით დაჯილდოვდნენ



დაიწყო წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოება პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში. სწავლაში მიღწეული წარმატებისთვის პერსონალური კომპიუტერი გლდანი-ნაძალადევის 201 მეათეკლასელს გადაეცა.

პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“, 2009 წლიდან, წარმატებით ხორციელდება. პროგრამის ბენეფიციარებად განისაზღვრნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც საბაზო საფეხური (მე-7, მე-8 და მე-9 კლასები) წარჩინებით დაამთავრეს და მათი საფეხურის ნიშანია 10 ქულა (დამრგვალების გარეშე).

პროგრამის მიზანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლა/სწავლების მეთოდების გაძლიერება. თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის ზრდა ნიჭიერ და შრომისმოყვარე მოზარდებს წარმატების მიღწევის კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს.

წარჩინებული მოსწავლეების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ნელს პერსონალურ კომპიუტერს, საქართველოს მასშტაბით, საჯარო სკოლების 3857 მოსწავლე მიიღებს. მოსწავლეთა ნახალისების პროექტი მომავალშიც გაგრძელდება.

შეხვედრები ბრძელდება



აკადემიური და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრები გრძელდება. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, მიხეილ ბატიაშვილმა, „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ გენერალურ დირექტორთან, ზვიად გაბისონიასთან ერთად, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრა და მათ პირადად გააცნო ის რეალური პერსპექტივები, რაც ქართულ სამეცნიერო წრეებს ერთიან ევროპულ სივრცეში განეწიანებით გაუჩნდება.

მიხეილ ბატიაშვილის განცხადებით, მისი ამოცანაა ყველა პროფესორს მიანოდოს ინფორმაცია, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ის შესაძლებლობები, რომლებიც ევროპულ სივრცეში სამეცნიერო კუთხით არსებობს.

„ჩემი ამოცანაა ყველა უნივერსიტეტში, ყველა პროფესორს, გავაგებინოთ რა შესაძლებლობები არსებობს ევროპულ სივრცეში სამეცნიერო კუთხით და დავებაროთ ამ შესაძლებლობების გამოყენებაში. ეს პროცესი გაგრძელდება, არ იქნება ერთჯერადი და ყველას მივანვით ინფორმაციას, როგორ მიიღოს ის ბენეფიტი, რასაც EURAXESS-ში განეწიანება გულისხმობს,“ – განაცხადა მინისტრმა.



სპორტი

სამბისტოა ნარმატება

საქართველოს ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტოა გუნდებმა დიდი წარმატებით იასპარეზეს ტაშკენტში ჩატარებულ თანატოლთა მსოფლიო ჩემპიონატში, მონაწილეები გვეყავდა როგორც ბიჭებში, ასევე გოგონებში. უზბეკეთში ჩვენმა დელეგაციამ 14 მედალი მოიპოვა – 3-3 ოქრო-ვერცხლი და 8 ბრინჯაო, აქედან ერთი ბრინჯაო გოგონების ნაკრებზე მოდის. გუნდურ ჩათვლაში, ახალგაზრდებში, ბიჭების ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა.

ჩვენი ასაკობრივი გუნდებიდან, ახალგაზრდები უკეთ გამოვიდნენ, 9 მედალი დაისაკუთრეს: 2 ოქრო, 1 ვერცხლი და 6 ბრინჯაო. ამ ასაკში მსოფლიო ჩემპიონები **გიორგი მესხრიშვილი** (48) და **დიმიტრი ნასყიდაშვილი** (100) გახდნენ; ვერცხლის მედალს **გაგა ბახტიძე** (68) დაეუფლა, მესამე ადგილზე კი გავიდნენ: **აფთანდილ მუჰბანიანი** (57), **საბა გრიგალაშვილი** (62), **თორნიკე გვირიანი** (74), **მიხეილ ნოზაძე** (82), **გოჩა ლვაჩლიანი** (99) და **მარიამ ცერცვაძე** (+80).

მესხრიშვილმა, ფინალში, ტაჯიკი **ამინჯიონ ხოლოვი** დაამარცხა, ნასყიდაშვილმა კი რუს **გლუბ პოზნაკირკოს** დააყრევინა ფარ-ხმალი, სამაგიეროდ, რუსთან – **ივან აგაფონოვთან** დამარცხდა ბახტიძე.

ჭაბუკების მონაგარი 5 ჯილდოა: 1 ოქრო, 2 ვერცხლი და ამდენივე – ბრინჯაო. ამ ასაკში ყველაზე უკეთ **ელიზბარ თურქია** (65) გამოვიდა და ჩემპიონის ტიტულსაც დაეუფლა, მეორეზე **ზაურ დვალაშვილი** (82) და **ჯუმბერ კოლხიტაშვილი** (+87) გავიდნენ, მესამეზე – **ანზორ სიდამონიძე** (52) და **დიმიტრი ხუციშვილი** (75).

თურქიამ, ფინალში, რუსი **აბდულმუსლიმ მახდიევი** დაამარცხა, თუმცა, სამწუხაროდ, ფინალში, ეს ჩვენი ერთადერთი მოგება აღმოჩნდა რუსებთან, რადგან დანარჩენი ორი გადამწყვეტი პაექრობა მათ მოვიგვეს: **დვალაშვილი ადამ უციევათ** დამარცხდა, **კოლხიტაშვილი** კი **იოსიფ სიმინთან** წააგო.

ქართველები ბალტიის ლიგაზე

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის დაფინანსებით, ქართული ბავშვთა კლუბები წელსაც ჩაერთნენ „ბალტიის ლიგის“ გათამაშებაში.

მოკლედ შეგახსენებთ, რომ ეს არის საქართველოს კალათბურთის ფედერაციის სპეციალური პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, ფედერაცია ეხმარება ბავშვთა კლუბებს და, საორგანიზაციო საკითხების მოგვარების გარდა, თანადაფინანსებასაც უწევს, რათა მონაწილეობა მიიღონ „ბალტიის ლიგის“ გათამაშებაში, რაც მათთვის ფასდაუდებელი პრაქტიკული გამოცდილების მიღების მშვენიერი შესაძლებლობაა. ბალტიის ზღვის რეგიონი, ევროპისა თუ მსოფლიო მასშტაბით, ერთ-ერთი წამყვანი საკალათბურთო ცენტრია, სადაც მაღალ დონეზე განვითარებული სპორტის ეს სახეობა, ხოლო „ბალტიის ლიგა“ სპეციალურად მოზარდებისთვის შექმნილი ტურნირია, რათა მათ კიდევ უფრო აიმაღლონ ოსტატობა, განვითარდნენ და პროფესიონალი კალათბურთელები გახდნენ. კალათბურთის პოპულარიზაციის მიზნით, შეჯიბრება ერთ რომელიმე ქვეყანაში ან ქალაქში კი არ ტარდება, არამედ რეგიონის სამივე ქვეყანა მასპინძლობს და, ბუნებრივია, იქაურები სტუმრებს მაქსიმალურად კომფორტულ პირობებს სთავაზობენ. ლიგა რამდენიმე ეტაპად იმართება და მასში მუდამ ბევრი გუნდი მონაწილეობს არა მარტო ბალტიის ზღვის რეგიონიდან, არამედ მთელი პოსტ-საბჭოთა სივრცეიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან.

ასე მაგალითად, 13-წლამდელთა ლიგის წლებიდან დასრულებულმა 45 გუნდი მონაწილეობს, თუმცა წინა წლებში ბევრად



მეტიც ყოფილან. საქართველოდან იქ გამოსვლის უფლებას Junior NBA-GJF ლიგის მედალოსნები იღებენ, რომლებსაც, როგორც უკვე გითხარით, საქართველოს კალათბურთის ფედერაცია თანადაფინანსებას უწევს, ანუ მონაწილეობისთვის საჭირო თანხის საკმაოდ დიდ ნაწილს ურიცხავს, დანარჩენი კი თავად კლუბებმა უნდა მოიძიონ. წელს ეს უფლება Junior NBA-GJF ლიგის ჩემპიონმა „ზაზა-აკადემიამ“, ვიცე-ჩემპიონმა „ქუთაისმა“ და მესამე ადგილზე გასულმა „იბერიმ“ მიიღეს.

13-წლამდელთა ლიგის ზემოაღნიშნული 45 კლუბი 3 ჯგუფადაა განაწილებული. „იბერი“ და „ზაზა“, 16 გუნდთან ერთად, A ჯგუფში გამოდიან, „ქუთაისი“ კი B-შია განაწილებული. ლიგის გათამაშებაში პირველად სწორედ ქუთაისელები ჩაებნენ, რომლებმაც 3-5 ოქტომბერს, ლატვიის დედაქალაქ რიგაში, ითამაშეს, 5 მატჩი გამართეს და 4 მოიგეს. **ირინა მელქაძისა და ია გოგლიჩიძის** შეგირდებმა, პირველ შეხვედრაში, მასპინძელთა „ესტ ბალი“ დიდი ანგარიშით – 101:34 დაამარცხეს, მეორე კი ერთადერთი და დასანანი მარცხი იწვინეს ესტონურ „აუდენტესთან“: 50:52. ამის შემდეგ რიონისპირელები ყველა შეხვედრაში მონაწილეობის სიმალეზე დადგნენ, ლატვიური გუნდები დაამარცხეს: „სალასპისის“ 53:41 მოუგეს, „ბაუსკას“ კი 67:57 აჯობეს, ხოლო ესტონურ „კეილას“ 43:38 სძლიეს.

„ბალტიის ლიგაში“ შემდეგი „იბერი“ ჩაება, რომელმაც 11-13 ოქტომბერს, ასევე ლატვიაში, ქალაქ ოჟოლნიეკში ითამაშა. მანაც 5 თამაში გამართა, თუმცა 3 მოიგო და 2 წააგო. თბილისელებმა აჯობეს ლატვიურ კლუბებს: „ვალმიერას“ – 66:28, ბც-„რიგას“ – 75:28 და ლიტვურ „პანევეჟისს“ – 66:35, თავად კი წააგეს ლატვიისავე გუნდებთან: „რიუდანესთან“ – 53:60 და „ოგესთან“ – 39:45.

რაც შეეხება ბალტიური ლიგის მესამე ქართულ კლუბს – „ზაზა აკადემიას“, პირველი წრის შეხვედრებს, 15-17 ნოემბერს, ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გამართავს.

ქართველი წყალბურთელები ევროპირველობაზე

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა.

ჩვენმა გუნდმა თბილისში გამართული ჯგუფური ეტაპის ორივე მატჩი მოიგო და 2020 წელს, ბუდაპეშტში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებში გერმანია 9:7 დაამარცხა, ხოლო შვეიცარია – 24:7 და ევროპის ჩემპიონატზე გავიდა.

წყალბურთელთა ნაკრები ევროპირველობაზე ზედიზედ მეოთხედ ითამაშებს.

19-წლამდელთა ნარმატება



საქართველოს 19-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებმა წარმატებით დაძლია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი და ვადამდე გაინაღდა ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება. შესარჩევი ეტაპს უნგრეთის ქალაქმა დიორმა უმასპინძლა, ტურნირში უნგრეთის, საქართველოს, ხორვატიისა და ყაზახეთის გუნდები მონაწილეობდნენ.

ჩვენმა ფეხბურთელებმა პირველი შეხვედრა სწორედ მასპინძლებთან გამართეს და საკმაოდ იოლად – 4:2 დაამარცხეს. **რამაზ სვანაძის** შეგირდები თავიდანვე დაეუფლნენ ინიციატივას და მე-11 წუთზე დანიანაურდნენ კიდევ, როცა **სვიჩა კვარაცხელიამ** საჯარიმო დარტყმით გოლი გაიტანა. თუმცა, პირველივე ტაიმში, მასპინძლებმა წინ გასვლაც მოახერხეს – 2:1, რასაც კვარაცხელიას ტრავმაც დაერთო. სამაგიეროდ, უნგრელებს ფეხბურთელი გაუძევეს და მეორე ტაიმი მთლიანად ჩვენებისა გამოდგა.

მეორე შეხვედრა ჩვენმა ფეხბურთელებმა ყაზახებთან ჩაატარეს და 3:1 სძლიეს. ამით ჯგუფის ორ მონაწილე გუნდს შორისაც გაინაღდეს ადგილი. ბოლო შეხვედრას ხორვატიასთან გამართავენ, რომელმაც ასევე მიიღო ელიტ-რანდის საგზური, თუმცა ჯგუფში პირველობა მაინც მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მეორე ფინალურ ეტაპზე შედარებით ხელსაყრელ ქვეჯგუფში მოხვდეთ.

ამასობაში, ამხანაგური შეხვედრა გამართა 18-წლამდელ

ფეხბურთელთა გუნდმაც, რომელმაც შინ ესტონეთს უმასპინძლა და 3:0 მოგო.

მოსწავლეებს შეხვდნენ



საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები 157-ე საჯარო სკოლას ესტუმრნენ და სკოლის მოსწავლეებს შეხვდნენ.

გიორგი ლორიამ, გიორგი ქვილითაიამ და გიორგი აბურჯანიამ ბავშვების კითხვებს უპასუხეს და სამასსოვრო საჩუქრები გადასცეს, მათ შორის, 12 ოქტომბერს გასამართი საქართველო-ირლანდიის მატჩის ბილეთები, ბურთები და ავტოგრაფის ბარათები საკუთარი ხელმოწერებით.

ფეხბურთელებმა სკოლას ნაკრების ფეხბურთელების ავტოგრაფებით გაფორმებული ეროვნული ნაკრების მაისური გადასცეს.

მსოფლიოს პირველი ქვიშის თამაშები

კატარის დედაქალაქ დოჰაში მსოფლიოს პირველი ქვიშის თამაშები საზეიმო ცერემონიით გაიხსნა. ლონისძიებას დოჰას კულტურულ ცენტრში მდებარე ამფითეატრმა უმასპინძლა. ორგანიზატორებმა მაცურებელს კატარის კულტურა წარუდგინეს და ქვეყნის ისტორია გააცოცხლეს.

ქვიშის თამაშები ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის ეგიდით ტარდება. თამაშებში 97 ქვეყნის 1200-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობს. საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში 4 სპორტსმენია. ქვიშის ჭიდაობაში მედლებისთვის **ლევან ქელესაშვილი** (70კგ), **დავით ხუციშვილი** (80კგ), **დათო მარსაგიშვილი** (90კგ) და **მამუკა კორძაია** (+90კგ) იბრძობებენ. მოჭიდავეთა ნაკრები შეჯიბრებაში 14 ოქტომბერს ჩაერთო.


საქართველოს დელეგაციას ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ოლიმპიური ჩემპიონი **ლერი ხაბელოვი** ხელმძღვანელობს.

საქართველოს ქვიშის მოჭიდავეთა ნაკრებმა, პირველ საშეჯიბრო დღეს, 2 მედალი მოიპოვა: **ლევან ქელესაშვილი** მსოფლიოს პირველი ქვიშის თამაშების ჩემპიონი გახდა, დათო მარსაგიშვილი ვერცხლის მედალს დაეუფლა.



მსოფლიოს პირველი ქვიშის თამაშები – „კატარი 2019“ 16 ოქტომბერს დასრულდა.

**გამომცემლობა „ახალი განათლება“
გთავაზობთ**



5 ლარი



12 ლარი



10 ლარი



9 ლარი



8 ლარი

მართლმადიდებელი ენის გრამატიკა
სინტაქსი (სახსოლო უნარი)
ნ. მარაგანიძე





4 ლარი



12 ლარი

**გაქარს სულაქარის გამომცემლობა
ნაგვილი და მოგონილი ანბანი**



სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციალური გამოცემის ნაბიჯით.

სერიის ფასი – 32.40ლ


„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ



15 ლარი



19 ლარი



19 ლარი

აროვნული გამომცემლის სივრცეში
გიორგი მიქაბერიძის, არჩილ თაბუკაშვილის, კონსტანტინე გარამის

გავიგეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)
ნიგინი დანელიანი აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დასაბამო პრობირების მიხედვით და გადამცემულია გამომცემლის, ანალიზის, ალგორითმისა და სტატისტიკის საკითხებში.



13 ლარი



13 ლარი

ნიგინი I V-XVIII სს მწერლობა
ნიგინი II XIX საუკუნის მწერლობა
ნიგინი III XIX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

ხელმოწერის თანხა გადმოირიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა



15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები



15 ლარი

მასწავლებლის გიგანტური ტესტები



15 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები
დაწყებით კლასებში



6.50 ლარი

ქართული (I-VI კლასი)
მასწავლებელთა გამომცემლისთვის



11 ლარი

სწორი დაწყებითი
კლასისთვის



14 ლარი

ინტერაქტიული
მეთოდების კრებული



6 ლარი

კათედრის გაგების
პროგრამული



6 ლარი

მასწავლებლის ბიბლიოთეკა



15 ლარი